სპორტი

სპორტული გაზეთი პარასკევი 2 ივნისი 2006 №124 (2746) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლავიშვები მაესტროსთვის

სულ სულიერ და, ვერ ვნახე, დაპარგულიყო? შევბედოთ სიმფონიას!

ძოგა ინასარიძე
მიუნხენიდან

საქართველოს ნაკრების ათამდე წევრმა პარაგვაელებთან მატჩის დასრულებისთანავე დატოვა დორნბირნი, ზოგიც დღეს ჩვენთან ერთად მიუნხენში ჩამოვიდა. რუსულ კლუბებში მოთამაშე ლეგიონერები რუსეთში მიდიან, მალე შეკრებები უწევთ, დანარჩენები კი საქართველოში დასასვენებლად მოდიან. კლაუს ტოპმიოლერმა პირადად გააცილა თითოეული მათგანი სასტუმროდან, გადაეხვია და თბილად დაემშვიდობა. აშკარად ეტყობოდა, რომ კმაყოფილია შეგირდებით. ნაკრები სრული შემადგენლობით ფაქტობრივად პირველად შეიკრიბა, თუმცა ტოპის ეგონა, რომ ტაქტიკის მხრივ ნაკლები სამუშაო ექნებოდა. როგორც აღმოჩნდა, მისი საყვარელი 4-3-3 მხოლოდ ოთხი-ხუთი ქართველი ფეხბურთელისთვისაა პრაქტიკულად ნაცნობი, დანარჩენებს კი ცოტა გაუჭირდათ დეტალებში გარკვევა. ახალ ზელანდიასთან მატჩამდე ორი დღე, თავად მატჩი და კიდევ ორი ვარჯიში იყო ტოპმიოლერის განკარგულებაში და ამის მიუხედავად, გუნდს მისი ხელი დაეტყო. ყველა ხაზს უსვამდა ჩვენი გუნდის თამაშის ერთ თავისებურებას — ახალ ზელანდიასთანაც და პარაგვაისთანაც ბურთს უპირატესად ქართველები აკონტროლებდნენ, ინიციატივის დათმობა და მეტოქის შეცდომის ლოდინი ერთხელაც არ უცდიათ. რაც მთავარია, ეს არცთუ ცუდად გამოუვიდათ. სტადიონზე მყოფი ქართველობა — ოფიციალური პირებიც და ქომაგებიც კმაყოფილნი დარჩნენ, თუმცა ეს რომ ოფიციალური მატჩი ყოფილიყო, აშკარად გული დაგვწყდებოდა ქარს გატანებული უპირატესობისა და ვერმოგებული მატჩის გამო.

შეხვედრას ძალიან ბევრი აგენტი და მენეჯერი დაესწრო. იყვნენ თურქეთიდან, გერმანიიდან, ინგლისიდან. ერთ-ერთი მათგანი თურქული „გალათასარაის“ წარმომადგენელი იყო და კონკრეტულად ჯაბა კანკავას აკვირდებოდა. თუ ჯაბას თამაშის მიხედვით ვიმსჯელებთ, თურქი უგუნებოდ არ უნდა გაბრუნებულიყო დორნბირნიდან.

ამ დღეებში დორნბირნს არც ჟურნალისტთა ნაკლებობა უგრძვნია. ქართველების და პარაგვაელების გარდა თხუთმეტამდე ჟურნალისტი დაესწრო მატჩს. ხუთამდე ინგლისელი იყო, დაახლოებით ამდენივე კი გერმანელი და ავსტრიელი, ერთიც შვედი — ინგლისელები და შვედები ხომ მუნდიალზე პარაგვაელთა თანაჯგუფელები არიან. ერთ ჩვენს პარაგვაელ კოლეგას რადიორეპორტაჟი მიჰყავდა და ტრადიციული სამხრეთამერიკული ტემპერამენტით გააყრუა ტრიბუნები, განსაკუთრებით კი, რა თქმა უნდა, ვალდესის გოლისას ამოხეთქა.

ბუნებრივია, თამაშს ადგილობრივი პრესაც გამოეხმაურა. ამ მხარის ყველაზე დიდმა გაზეთმა „ფორარბერგ ნახრიხტენმა“ საკმაოდ ვრცელი მიმოხილვა მიუძღვნა საქართველო—პარაგვაის შეხვედრას. მსოფლიოს ჩემპიონატი ჩვენთანაც ჩამოვიდაო, უხაროდათ ავსტრიელებს. ჩვენი გუნდის თამაშმა კი ავსტრიული მედიის მოწონება დაიმსახურა: „საქართველოს უამრავი კარგი შანსი ჰქონდა. მათ გამართული, შემტევი ფეხბურთი ითამაშეს და შეეძლოთ ემარჯვათ კიდეც, თუმცა პარაგვაელთა მეკარე ვილიარმა იფრინა და ქართველებს გოლის გატანა არ დაანება. ისე ჩანს, მსოფლიოს ჩემპიონატზე სწორედ ვილიარი იქნება პარაგვაელთა უმთავრესი იმედი.“

ტოპმიოლერი არწივის შემცვლელს ეძებს

პარაგვაის ნაკრებთან მატჩის დასრულების შემდეგ კლაუს ტოპმიოლერმა მოკლე კომენტარი კი გააკეთა, მაგრამ საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს გუშინ კიდევ ერთხელ შევეხმიანეთ...

სგფფ-ის პრესსამსახური

— როგორ შეაფასებთ მთლიანობაში პარაგვაისთან მატჩს?

— პარაგვაელებთან მატჩის წინ ძალიან ბევრი ვიმუშავეთ, რამაც შედეგი გამოიღო. შედეგში, რა თქმა უნდა, არა ანგარიშს, არამედ თამაშის ხარისხს ვგულისხმობ. ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოყალიბების ეტაპზე ვართ და სიმართლე გითხრათ, ამდენს გუნდისგან არც ველოდი.

— ახალზელანდიელებთანაც და პარაგვაელებთანაც უამრავი საგოლე მომენტი გავაცუდეთ...

— კი ვთქვი, გუნდის თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ-მეთქი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ნაკლს ვერ ვხედავ. ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო საიმისოდ, რათა შეკრული, მიმზიდველი ფეხბურთი ვითამაშოთ. თითქმის ყველა შეხვედრაში გვემატებიან ახალი ფეხბურთელები, რომლებსაც ახალ მონახაზთან ადაპტაცია სჭირდებათ. ერთ-ერთი პრობლემა, რომლის გადაჭრაზეც სერიოზული ფიქრი და მუშაობა გვმართებს, სწორედ საგოლე მომენტების რეალიზებაა.

— ორივე მატჩში კარს გიორგი ლომაია იცავდა...

— ბევრი ქართველი მეკარის თამაში ვნახე და შემიძლია ვთქვა, რომ ლომაია სხვებზე მეტად მომეწონა. დამეთანხმებით, მან გუშინდელ შეხვედრაშიც დამაჯერებლად ითამაშა.

— ნიშნავს თუ არა ეს, რომ ლომაია ნაკრების პირველი ნომერია?

— რა თქმა უნდა. შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ ლომაია დღეს საქართველოს ნაკრების ძირითადი მეკარეა.

— პარაგვაელებთან მატჩის დასრულების შემდეგ თქვით, მომდევნო თამაშს საქართველო აუცილებლად მოიგებსო. რატომ ხართ ასე დარწმუნებული?

— ამის თქმის საშუალებას მაძლევს გუნდი, რომელიც თანდათან ყალიბდება და ასევე ფეხბურთელთა საქმისადმი დამოკიდებულება. რა თქმა უნდა, მომავალი მეტოქის ფაქტორსაც მნიშვნელობა აქვს, ჩვენ ხომ ფარერებს ვხვდებით და აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ. მე მომდევნო მატჩში გამარჯვებაზე კი ვილაპარაკე, მაგრამ როგორ ვთქვა, რომ საფრანგეთთან ან იტალიასთანაც აუცილებლად გავიმარჯვებთ?! ჯერ ერთი, ისინი სულ სხვა განზომილების გუნდები არიან და მეორეც, ბევრი რამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ამ გუნდების გამოსვლაზე იქნება დამოკიდებული.

— ამ ორ შეხვედრაში რამდენიმე ფეხბურთელი პირველად ნახეთ საქმეში. ვინ გაგიმართლათ და ვინ გაგიცრუათ იმედი?

— მინდა ილია კანდელაკის, ზურაბ მენთეშაშვილის და ჯაბა კანკავას თამაში გამოვყო. პირობა დავდე, რომ ნაკრებისთვის გამოსადეგ ყველა ფეხბურთელს გავსინჯავდი და საუკეთესოებს შევარჩევდი. ამ ბიჭებმა დამანახეს, რომ საქართველოს ნაკრებისთვის დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ.

— პარაგვაელებთან საქართველოს ნაკრებს ოპტიმალური შემადგენლობით რომ ეთამაშა, სხვა შედეგს მივიღებდით?

— იმ ფეხბურთელებიდან, რომელთა თამაშსაც უკვე ვიცნობ, ლევან კობიაშვილი, ოთარ ხიზანეიშვილი და ლევან ცქიტიშვილი მაკლდნენ. ეს სამეული ჩვენი გუნდისთვის დიდი ძალაა. ძნელი სათქმელია, როგორ დასრულდებოდა შეხვედრა, მაგრამ მათთან ერთად ჩვენი გუნდი რომ უფრო ძლიერი იქნებოდა, ფაქტია.

— გოგიტა გოგუა შეცვლაზე შევიდა, მყის გაფრთხილება მიიღო და გაძევებასაც იმსახურებდა. როგორ უნდა ებრძოლოთ უხეშ თამაშს?

— უხეში თამაში მხოლოდ ჩვენი პრობლემა არ არის, მეტოქეც საკმაოდ უხეშობდა. თუმცა ეს არ გვამართლებს. ჩვენ გამარჯვება მეტოქესთან ტაქტიკურ ჭიდილში გვინდა და არა უხეშობაში.

— ახალ ზელანდიასთან შედარებით, პარაგვაელებთან შეხვედრაში რა პროგრესული მომენტები დაინახეთ ჩვენი გუნდის თამაშში?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჯერ ძნელია, ორივე მატჩი ღეტალურად უნდა გავაანალიზოთ. გაითვალისწინეთ, რომ ახალი ზელანდია მთელი ძალით თამაშობდა, პარაგვაი კი მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ძალებს ზოგავდა. იმაში, რომ პარაგვაელებთან უკეთ გამოჩნდით, მეტოქეებმაც ითამაშეს როლი.

— ვიცით, რომ 1993 წელს „აინტრახტში“ მუშაობისას რამდენიმე მარცხის შემდეგ ფეხბურთელებს გასახდელში არწივი შეუჯვანეთ და თვალებში ჩაახედეთ. ამ ხერხს საქართველოს ნაკრებშიც ხომ არ მიმართავთ?

— არ მეგონა, თუ ეს ამბავი გეცოდინებოდათ. ყოველთვის ვცდილობ, ფეხბურთელებს სხვადასხვაგვარად მივუდგე, რათა მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა გავაუმჯობესო. საქართველოს ნაკრებშიც ასე იქნება. აუცილებელი არ არის, მაინცდამაინც არწივის თვალებში ჩაახედო, რათა საბრძოლო სულისკვეთება დაუბრუნო ფეხბურთელს, მაგრამ კონკრეტულად რა მეთოდებს მივმართავ ქართველებთან მუშაობისას, სიურპრიზად დავტოვებ.

ნინო სილაგაძე

სგფფ-ის პრესსამსახური

„ავსტრიელმა“ ქართველებმა დორნბირნში ჩასულ საქართველოს ნაკრებს გულშურვალედ უქომაგეს

გადრი კედელაშვილის ფოტო

ვის გაითავკაცებს ლოკომოტივი?

სირაძე წავიდა და არც წავიდა

თბილისის „ლოკომოტივში“ ისევ ვაკანტურია მთავარი მწვრთნელის ადგილი, რადგან, როგორც შევიტყვეთ, გია გეგუჩაძის გუნდში გათავკაცების ვარიანტი არ გამოვიდა. ასევე განიხილებოდა გიორგი დევდარიანის საკითხი, თუმცა ჯერ არაფერია გადაწყვეტილი.

„ლოკომოტივის“ პრეზიდენტი ლექსო თოფურია ამჟამად შვეიცარიაშია და როცა ჩამოვა, ალბათ, მაშინ გაირკვევა მწვრთნელის ამბავი. მანამდე კი რკინიგზელთა ყოფილმა დამრიგებელმა სოსო სირაძემ გვითხრა, სულაც არაა გამორიცხული, ისევ მე დავრჩე პოსტზეო.

„თუ ახალი მწვრთნელი ვერ მოიძებნა, მაშინ „ლოკომოტივს“, ალბათ, ისევ მე გავწვრთნი. თუ არა და, მე და თემურ თვალჭრელიძე გუნდის სელექციონერებად დავრჩებით. ასევე „ლოკომოტივის“ ჭაბუკთა გუნდის თავკაცი ვიქნები. 11 ივნისამდე გუნდი ისვენებს, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ რამდენიმე ფეხბურთელი წავა. ჩემი ნება რომ იყოს და ვიცოდე, რომ ისევ მთავარ მწვრთნელად დავრჩები, გასაშვებ-დამრჩენი მოთამაშეების სიას შევადგენდი. მეორე წრის ბოლო ტურებში „ლოკომოტივმა“ თამაში გამოასწორა, ბიჭებს პოტენციალი აშკარად ეტყობოდათ და მათ უბრალოდ, დადვინება სჭირდებათ“ — გვითხრა სოსო სირაძემ.

ლუკა თალაკვაძე

სიონი — 4, ბათუმი — 3

გურული ზღვისპირეთსაც გაჭშავებს?

ბოლნისის „სიონი“ დღე-დღეზე ელის საგარეო საქმეთა სამინისტროსგან ვიზებს, რათა სამმა კამერუნელმა და ერთმა ნიგერიელმა ფეხბურთელმა მათთან გასინჯვაზე ჩამოადწიოს. გეცოდინებათ, ეს მოთამაშეები ქვემოქართლელებს ფიფას ლიცენზირებულმა აგენტმა გია გურულმა მოუძებნა, რომელიც „ბათუმისთვისაც“ ამზადებს აფრიკელებს...

„ბოლნისელებს საშუალება მიეცემათ, ეს ოთხი აფრიკელი ფეხბურთელი სეზონისწინა შეკრებაზე გასინჯონ. გარდა ამისა, „ბათუმის“ პასუხს ველი, მათი ხელმძღვანელობა კლუბის უცხოელ ინვესტორს დღე-დღეზე შეხვდება და თუ სურვილი ექნებათ, სამ კამერუნელ ფეხბურთელს გასინჯავენ: ისინი კამერუნის ჩემპიონატში თამაშობდნენ, ახალგაზრდები არიან“ — გვითხრა გია გურულმა.

მანვე ისიც გვითხრა, რომ რომელიმე ქართველი ფეხბურთელის ფრანგულ კლუბში მოწყობის სურვილი კი აქვს, მაგრამ ჯერჯერობით ეს ვარიანტი არ განიხილება.

არც გია გურულის ვაჟის, 20 წლის სანდროს გარშემოა რაიმე სიახლე. სანდრო გურული კვლავაც საფრანგეთის მეოთხედივიზიონელ „ლიონ დუშერში“ თამაშობს და, როგორც თავად გვითხრა, „სტრასბურის“ ვარიანტი ჰქონია და სხვა კლუბებისგანაც ყოფილა რაღაც შემოთავაზებები...

ილია ნანოგაფვილი

თბილისის გადაწყვეტილი ამბავი

თბილისის საქმეს კარგი პირი უჩანს

ფინანსური პრობლემებით შეწუხებულ „თბილისს“ მაღე უნდა ეშველოს — ასეთი პროგნოზის საშუალებას იძლევა ის მოლაპარაკება, რომელიც „თბილისის“ ხელმძღვანელობასა და სავარაუდო ინვესტორს შორის უკვე დასრულდა — მხარეები თიქმის ყველაფერზე შეთანხმდნენ, მაგრამ იურიდიულად ჯერ არაფერი გაფორმებულა და ამიტომაცაა, რომ „თბილისი“ ჯერ არ ახმაურებს მისი სამომავლო კომპანიონის ვინაობას — ყველაფერი 6 ივნისს უნდა გამჟღავნდეს.

„თბილისმა“ აწ დასრულებული სეზონის მეორე წრეში რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი დაიმატა, მთავარ მწვრთნელად გოჩა ტყებუჩავას უხმო და მიზანსაც მიაღწია — უმაღლეს ლიგაში დარჩა, თუმცა სეზონის დასრულების შემდეგ კლუბი ერთ-ერთმა დამფუძნებელმა თემურ უგულავამ დატოვა...

დავით თავართქილაძე

ამირან კედელაშვილი: 13 წელი ეროვნულ ჩემპიონატში

კორუფცია შემცირდა, მაგრამ ისევ არსებობს

ამირან კედელაშვილი და „ამერის“ პრეზიდენტი ზურაბ ფოცხვერია

გადრი კედელაშვილის ფოტო

პერსპექტიული ახალგაზრდობა ერთია, მაგრამ თუ გუნდში გამოცდილი ფეხბურთელები არ არიან, ტიტულების მოპოვება წარმოუდგენელია...

ამირან კედელაშვილმა ზედიზედ მესამე სეზონი ჩაატარა „ამერში“, რაც საქართველოს თასის მოგებით დააგვირგვინა... კედელაშვილი მოუღლელი და საიმედოა, ხისტი და შეუპოვარია, მეტწილად მარჯვენა მცველად თამაშობს და შეტევაში ჩართვაც ეხერხება...

საქართველოს ჩემპიონატში კედელაშვილი ბევრისმნახველი ფეხბურთელია და მისი გამოცდილება „ამერისთვის“ საკმაოდ ფასეულია...

იგი თავდადებითაც გამოირჩევა — „ზესტაფონთან“ თასის ფინალის წინ მუხლი აწუხებდა, მაგრამ მაინც ითამაშა...

— მტკივანი მუხლით თამაში რატომ გარისკე? თანაც თქვენმა მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემაც იცოდა ამის შესახებ და ფინალში მაინც გენდო...

— მუხლის მყესი მქონდა დაჭიმული და ტკივილი მაწუხებდა, მწვრთნელმა კი ალბათ მართლა იმიტომ მათამაშა, რომ, უბრალოდ, მენდობოდა...

— „ამერში“ სამი სეზონი ითამაშე და თასის ფინალის გარდა კიდევ რომელ ამერულ მატჩს გამოარჩევდი?

— აწ დასრულებული სეზონის მერე წრეში თბილისის „დინამოს“ სტუმრად 2:1 რომ მოვუგეთ.

— იმ მატჩში შენთვის უჩვეულო პოზიციაზე ითამაშე...

— ნომინალურად მარჯვენა მცველი ვარ, მაგრამ საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე რამდენჯერმე რუსთავის „გორდაშიც“ მითამაშია და ფოთის „კოლხეთშიც“ — ასე რომ, ეს პოზიცია ჩემთვის უცხო არ იყო და ვფიქრობ, „დინამოსთანაც“ ნორმალურად ვითამაშე.

— „დინამოს“ წინააღმდეგ არაერთხელ გითამაშია სხვა გუნდებშიც, მაშინ, როცა „დინამო“ ახლანდელზე ბევრად ძლიერი იყო — ამ გუნდთან თამაშის სინდრომი არასდროს გქონია?

— არასდროს ამკანკალებია მუხლები, თუმცა ვიცი, რომ ბევრ ფეხბურთელს მართლაც ჰქონდა „დინამოსთან“ თამაშის სინდრომი.

— სხვა გუნდებისთვის ახლა „ამერთან“ თამაში გახდა განსაკუთრებული, რადგან „ამერი“ მზარდი კლუბია და უკვე თასის მფლობელიც არის — მეტოქეები „ამერთან“ ალბათ ახლა უფრო მეტი მონდომებით ითამაშებენ...

— ვფიქრობ, ეს დადებითი ფაქტორი იქნება ჩვენთვის, მეტოქეები რომ უფრო ჟინით შეგვებრძოლებიან, ეს არ გვაშინებს.

— განვლილ სეზონში „ამერის“ ძირითადში ყოველთვის არ იყავი...

— მეორე წრის დასაწყისში ტერფის ტრავმა მაწუხებდა და ამის გამო ვერ ვთამაშობდი, პირველ წრეშიც რამდენიმე მატჩი გამოვტოვე ტრავმის გამო.

— „ამერს“ დასრულებულ სეზონში უცნაური ზნე სჭირდა — ძლიერ გუნდთან კარგად თამაშობდა, შედარებით სუსტ მეტოქესთან კი გაცილებით უარესად. რისი ბრალი იყო ეს?

— მეტოქეს სათანადოდ ვერ ვაფასებდით და ამის გამო ცოტა მოშვებულები ვიყავით.

— მალე 30 წლის გახდები — კიდევ რამდენ ხანს აპირებ თამაშს?

— საქართველოში 25 წელს გადაცილებული ფეხბურთელ რატომღაც დაბერებულად ითვლება. მე კი, ვფიქრობ, რომ კიდევ სამი-ოთხი წელი შევძლებ ამ დონეზე თამაშს. მთავარი რეჟიმის დაცვაა.

— შენ მშობლიურ ქალაქ რუსთავში ფეხბურთის საქმე როგორ მიდის? რუსთავს პირველ ლიგაში ჰყავს გუნდი და უმაღლესში დაბრუნების რა პერსპექტივები გაჩნია?

— ასეთი პერსპექტივა ჯერ არ ჩანს, არადა, რუსთავში რამდენიმე საფეხბურთო სკოლაა და ქალაქის უპირველესი გუნდისთვის ფეხბურთელების მიწოდების პრობლემა არ არსებობს.

— ეროვნულ ჩემპიონატში 13 წელია თამაშობ და როგორ ატყობ, ჩაწყობილი თამაშების რაოდენობამ და მსაჯთა კორუფციის დონემ იკლო?

— ფაქტია, რომ კორუფციამ ბევრად იკლო, თუმც რაღაც დონით ისევ არსებობს.

— როგორ ფიქრობ, ეროვნულ ჩემპიონატებში ყველაზე უფრო გამორჩეული ფეხბურთელები რომლები იყვნენ?

— თუ იმ ფეხბურთელებს არ მივიღებთ მხედველობაში, რომლებმაც ევროპაში წარმატებით გააგრძელეს კარიერა, ასეთები ზურაბ იონანიძე და ზაზა ზირაქიშვილი არიან.

— მომავალ სეზონში რას უნდა ველოდოთ „ამერისგან“?

— წლეულს თასი მოვიპოვეთ და თუ გაისად კიდევ რამე არ მოვიგეთ, სეზონი წარუმატებლად ჩაითვლება.

დავით თავართქილაძე

ფეჯ ამერის ბავშვთა სკოლა აცხადებს 1992-1993 წლებში დაბადებულ პერსპექტიულ ბავშვთა მიღებას ჭაბუკთა ლიგაში სათამაშოდ.

მიღება იწარმოებს შერჩევით, ყოველდღე 15-დან 18 საათამდე; შაბათ-კვირას: 10-დან 12 საათამდე.

მისამართი: გლდანის მასივი, თიანეთის გზატკეცილი 25 (გლდანულის გადასახვევი).

ტელ.: 899 13 51 02; 57 14 11

მერანი უმაღლესში თამამად მოაჭენებს

ჯანგიძე, მჭედლიშვილი, გაგუა და კიდევ ბევრნი

„უმაღლეს ლიგაში პირველი სეზონი გველის და, ცხადია, ჯერჯერობით მთავარ მიზნად არგავარდნას დავისახავთ. მერე და მერე ამბიციაც მოიმატებს, ერთწლიანი გუნდის გაკეთებას არ ვაპირებთ. რაც მთავარია, კლუბის პრეზიდენტ დილარ ხაბულიანის ხელშეწყობით პირობები გვექნება, კეთდება სტადიონი თავისი მინი-მოედნით, წიდის საფარით, გასახდელებით, სასტუმროთი“ — გვითხრა „მერანის“ მთავარმა მწვრთნელმა დავით ეჯიბიშვილმა.

უმაღლეს ლიგაში წლეულს აღზევებული „მერანიდან“ 10-12 ფეხბურთელი გაუშვეს, რომელთა პოზიციაზე უკეთესი ფეხბურთელები მოვლენ — ასე გვეუბნება დავით ეჯიბიშვილი. რაც შეეხება დამატებულებს, უსენი არიან ვალერი გაგუა „სოხუმიდან“ და თემურ მჭედლიშვილი და ლაშა ჯანგიძე „სპარტაკიდან“. „მერანი“ კიდევ 7-8 ფეხბურთელთან აწარმოებს მოლაპარაკებას და ვნახოთ...

„მერანი“ 4 ივნისს გრიგოლეთში წავა შეკრებაზე, სულ კი სეზონის დაწყებამდე სამ შეკრებას მოაწყობს და, როგორც შევიტყვეთ, არაა გამორიცხული, აქედან ერთი უცხოეთშიც იყოს.

დავით ეჯიბიშვილმა „მერანის“ საშინაო სტადიონზეც გვითხრა, რომელიც ნავთლუღში, „შევარდენის“ სტადიონის შორიახლოს მდებარეობს...

„მინდვრის საფარი ძალიან კარგი იქნება. სავარჯიშო ბაზაც იქვე გვექნება, ანუ კომპლექსურად შენდება ყველაფერი და არა მხოლოდ იმისთვის, რომ ვითამაშოთ და მორჩა... ეგაა, შესაძლოა, მთავარი სტადიონის შეკეთება ჩემპიონატის დაწყებამდე ვერ მოესწროს და ერთი-ორი საშინაო მატჩი სხვაგან გავმართოთ“.

„მერანს“ ჰყავს გუნდი ჭაბუკთა ლიგაში და ასევე, ბავშვთა სხვადასხვა ასაკში. გარდა ამისა, ფარმკლუბი „მერანი 2“ წლეულს რეგიონალლიგაში ითამაშებს. ასე რომ, მერანელები სტრუქტურულადაც მუშაობენ და სხვა გუნდების კვალობაზე ეს მართლაც სამადლო საქმეა...

ილია ნანოგაშვილი

ლაშა ჯანგიძე

ფოტო ეროვნული ბიბლიოთეკა

სტვენა ქართული

ასრულებს ახალგაზრდა მსაჯთა კორპუსი

აწ დასრულებულ სეზონში ქართული სამსაჯო კორპუსის გარჯის შეფასება შეუძლებელია იმ საორგანიზაციო თუ საკადრო ცვლილებების გათვალისწინების გარეშე, იმავ პერიოდში რომ განხორციელდა.

ბოლო წლებში ფეხბურთის ფედერაციის ძველ ხელმძღვანელობას კურსი დეცენტრალიზაციისკენ ჰქონდა აღებული: შეიქმნა პროფესიული ფეხბურთის ლიგა, დამოუკიდებელ სუბიექტად ჩამოყალიბდა მსაჯთა ასოციაცია. სეზონის წინ ფეხბურთის ფედერაციის ეს ორი სუბიექტი აფორმებდა ხელშეკრულებას — ჩემპიონატის ორგანიზატორი პრიფლიგა ქირაობდა მსაჯებს და ამ ურთიერთობიდან ამოვარდნილი იყო ფედერაცია. ამგვარი მოდელი ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში გამოიყენება, თუმცა ჯერ ისეთი უნივერსალური მოდელი არავის შეუქმნია, აპრიორი რომ იქნება მაღალი დონის, რაც მთავარია, პატიოსანი მსაჯობის გარანტია.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს ბევრი მოდავე არც ჰყოლია, როცა აცხადებდა, ქართულ სამსაჯო კორპუსში მძიმე მდგომარეობაა და ისევე როგორც ყველა სხვა სუბიექტს, მასაც მკაცრად გავაკონტროლებთო. ამგვარი განცხადების შემდეგ სამსაჯო კორპუსის ხელმძღვანელ ანატოლი მილჩენკოს გათავისუფლება დროის ამბავიღა იყო. მოლოდინის საწინააღმდეგოდ ეს პოსტი არა ველოდი მიმინოშვილმა, არამედ ყოფილმა ფეხბურთელმა, პოლიციის გადამდგარმა პოლკოვნიკმა ამირან კაჭახიძემ დაიკავა, რომელსაც მსაჯობასთან მანამ არანაირი შეხება არ ჰქონია. ეს გარემოება კაჭახიძის წისქვილზე ასხამს წყალს, რადგან მოქმედ მსაჯებთან მეგობრულ-ძმაკაცური ურთიერთობები ბორკილად არ დადებია. სამაგიეროდ, როგორც კადრის ოფიცერმა, ჩინებულად უწყის სუბორდინაციის ფასი და სამსაჯო კორპუსიც თითქოს უმტკივნეულოდ მოექცა კონტროლქვეშ.

ახალი ხელმძღვანელის მისვლას სამსაჯო კორპუსში საკადრო გადახალისება მოჰყვა და ასაკოვანმა მსაჯებმა „ხალის-ხალისით“ გადაინაცვლეს — ზოგმა პენსიაში, ზოგმაც ქვედა ლიგების მატჩებზე. მათი ადგილი ავანსცენაზე ახალგაზრდობამ დაიკავა, რომელიც დაწინაურებას მომხდარ ცვლილებებს უნდა უმადლოდეს. ანუ, ბუნებრივ კონტროლს წმინდა ადამიანური მადლიერების მომენტიც მოჰყვა დამწინაურებლის მიმართ. არავინ დავობს, რომ სამსაჯო რეფორმების შემდეგ მკვეთრად შემცირდა ხმები მსაჯების მოსყიდვით მოგებული თამაშების შესახებ, სამაგიეროდ კი, გახშირდა ხმამაღალი თუ კულუარული წუწუნი, რომ მსაჯები წნეხის ქვეშ მუშაობდნენ და უჭირდათ ობიექტურობის დაცვა.

ვერავინ დამაჯერებს, რომ ნოდარ ახალკაცმა კონკრეტულ არბიტრს კონკრეტული გუნდის დახმარება სთხოვა ან დაავალა (ამ შემთხვევაში ეს ერთსა და იმავეს ნიშნავს). სამაგიეროდ, იმის მჯერა, რომ ჩვენი მსაჯები უყურებენ სატელევიზიო გადაცემებს ქართული ფეხბურთის შესახებ და გულდასმით ეცნობიან სპორტულ პრესას. როცა ადამიანს ესმის და კითხულობს, თურმე ფედერაციის პრეზიდენტი „ზესტაფონის“ მატჩზე ამ კლუბის შარფით უნახავთ, თურმე ფედერაციის პრეზიდენტი „ზესტაფონის“ ავტობუსში ავიდა ფეხბურთელებთან სასაუბროდ ან ამ გუნდის საშინაო მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაში მიიღო მონაწილეობა, ქვეცნობიერად აიგივებს მას — ფედერაციის პრეზიდენტს (ანუ მის დამწინაურებელ-მაკონტროლებელს) — ამ კონკრეტულ კლუბთან. ისე, ნოდარ ახალკაცს არც დაუმალავს, რომ „ზესტაფონის“ პრეზიდენტი ილია კოკაია მისი უფროსი მეგობარია. ასეთ დროს სულაც აღარ არის საჭირო თხოვნა-მითითება და ოდნავ მაინც საჭოჭმანო მომენტში (ზოგჯერ არასაჭოჭმანოშიც) ძალიან მძიმდება ყვითელი ან წითელი ბარათი, სასტვენში კი (ბედი არ გინდა?) ჰაერი აღარ მოძრაობს...

ხმები მთლად ყურით მოთრეული არ ყოფილა: თბილისის „დინამო“ — „ზესტაფონის“ მატჩს მასპინძელთა პროტესტი და ხმაურიანი განხილვა მოჰყვა — სანდრო იაშვილს ზესტაფონელთა კარში გატანილი გოლი არ ჩაუთვალეს. შესაბამისმა კომისიამ სამი სხვადასხვა რაკურსით გადაღებული ფირი ნახა და... არბიტრი ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა, სადავო ეპიზოდის შეფასებისას კი კომისიის წევრთა შვიდი ხმა თანაბრად გაიყო(!).

გახმაურდა „ზესტაფონი“ — „ამერის“ მატჩიც, როცა არბიტრმა საჯარიმოს გარეთ ხელით თამაშისთვის მასპინძელთა მეკარეს მხოლოდ ყვითელი ბარათი აკმარა. სამსაჯოს განმარტება ასეთი იყო: მეკარემ ხელით კი ითამაშა, მაგრამ არავინ იცის, სტუმარი ფორვარდი ბურთს გაიტანდა თუ არაო.

ბოლოს თასის ფინალიც ვთქვათ: წარმოიდგინეთ, რომ პენალტების სერიაში არა „ამერს“, არამედ „ზესტაფონს“ ემარჯვა. მორიგ სამსაჯო სკანდალს ვერ ავცდებოდით, რადგან პირველსავე ტაიმში გამთანაბრებელი გოლისას ზურაბ იონანიძე აშკარა თამაშგარეშე იმყოფებოდა. თუ ეს ეპიზოდი არ გახმაურდა, მხოლოდ იმიტომ, რომ თასი იმ ეპიზოდში დაჩაგრულმა მხარემ მოიპოვა. ეს რომ არა, „ამერს“ თასს არავინ დაუბრუნებდა, მაგრამ ფედერაცია, უბრალოდ, იძულებული გახდებოდა, თანამსაჯი მკაცრად დაესაჯა. ყველაზე მთავარი კი ამ ისტორიაში ის გახლავთ, რომ „ზესტაფონს“ არაფერში სჭირდებოდა ვინმეს დახმარება — იმერლებს მართლაც ჩინებული გუნდი ჰყავთ, რომელიც მეორე წრეში ყველაზე დამაჯერებელ ფეხბურთს თამაშობდა.

უფრო წვრილ-წვრილ ეპიზოდებზე აღარ შევჩერდებით, რადგან ეს ნებისმიერი ქვეყნის ფეხბურთის თანმდევი მომენტია. იმას კი აღვნიშნავთ, რომ რამდენიმე შემთხვევაში თავად ექსპერტთა შეფასებებიც დიამეტრალურად განსხვავდებოდა. ფეხბურთის წესები გარკვეულ ლუფტს შეიცავს, რაც ნიჭიერ ადამიანს ამა თუ იმ ეპიზოდის სხვადასხვაგვარად განმარტების საშუალებას აძლევს. ჩვენი მსაჯების ნიჭიერებაში არც არასოდეს დავეჭვებულვართ...

სუბიექტური აზრი: თუ ზემოთ ნახსენებ და კიდევ ერთ-ორ მატჩს არ ჩავთვლით, მსაჯობა ნორმალური (ასატანი) იყო. წერილის დასაწყისშიც ვახსენეთ, რომ მსაჯობის გამო მეჩვიდმეტე ეროვნულს წინამორბედზე ნაკლები ხმაური ახლდა. ცუდი ისაა, რომ არსებობს საფრთხე — ერთი მხრივ არბიტრებზე ზემოქმედების, მეორე მხრივ კი მათი „ატმაზკის“ შესაძლებლობა.

ჰო, კინაღამ ქალი-მსაჯები გამოგვრჩა, უფრო სწორად გოგონები, რომლებიც მსაჯობას აპირებენ. სომხეთ — აზერბაიჯანის შესარჩევი მატჩების თბილისში გამართვის არ იყოს, ეს იდეაც ფიფა-უეფას ყურადღების მისაქცევად გამიზნული მგონია. ძნელი წარმოსადგენია, ოთხ კი არა, თუნდაც ოცდაოთხ წელიწადში ჩვენი მენტალიტეტი იმდენად შეიცვალოს, ფეხბურთში ქალი-არბიტრი იგუოს. რა შუაშია მენტალიტეტი? საქართველოში მამაკაცები ფეხბურთს სპორტის „ჩვენ“ სახეობად მივიჩნევთ, თანაც, სადაც სიტყვა ქალი იხსენება, აშკარად აზიელები ვართ. ევროპამდე კი მსაჯობაშიც ძალიან ბევრი დაგვრჩა.

გიორგი ნოზაძე

შევჩელსენკო

როგორც უკვე იცით, ანდრეი შევჩენკო ოფიციალურად „ჩელსის“ ფეხბურთელი გახდა. ლონდონელებმა მასში კლუბისთვის სარეკორდო თანხა, 30 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. „მილანის“ ყოფილმა თავდამსხმელმა ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და კვირაში 190 ათას ევროს მიიღებს, რაც უკრაინელს მსოფლიოში ყველაზე მაღალხელფასიან ფეხბურთელად აქცევს.

„ალბათ, ჩემპიონთა ლიგის მოგება ჩვენი მთავარი მიზანი იქნება და ამის რეალური შანსი გვაქვს. თუმცა ამასთანავე, კლუბს ყველანაირად დავეხმარები ინგლისის ჩემპიონატის ზედიზედ მესამედ მოგებაში. პრემიერლიგაში თამაშის დიდი სურვილი მაქვს. ვფიქრობ, „ჩელსიში“ შესაფერის დროს გადმოვედი. გუნდს დიდი პოტენციალი აქვს და მატჩიდან მატჩამდე უმატებს. ჩემი აქ გადმოსვლის მიზეზი ფული რომ იყოს, გარწმუნებთ, „მილანში“ დავრჩებოდი. ფინანსური მდგომარეობა იქაც ჩინებული მქონდა. რაც შეეხება ჟოზე მაურინიუს, მას ბოლო წლებში ყურადღებით ვაკვირდებოდი და აღფრთოვანებული ვარ, საოცარი მწვრთნელია. ახლა ყველაფერი გადაწყდა და შემიძლია, მსოფლიოს ჩემპიონატზე დამშვიდებული წავიდე და ვიამაყო, რომ „ჩელსის“ ფეხბურთელი ვარ“ — განაცხადა შევჩენკომ.

შეგახსენებთ, რომ შევჩენკო სამომავალსეზონოდ, „ჩელსის“ მესამე შენაძენია. იქამდე ლონდონელებმა „ბაიერნიდან“ მიხაელ ბალაკი და „ფეიენოორდიდან“ სალომონ კალუ დაიმატეს.

„ვითამაშებ იქ, სადაც მწვრთნელი მეტყვის. არანაირი პრეტენზია არ მაქვს. უბრალოდ, ვეცდები, შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვავლინო და ყოველდღიურად მოვუმატო. მინდა, ჩემი კარიერის პიკს სწორედ „ჩელსიში“ მივაღწიო. „ფეიენოორდში“ სულ ორი წელი გავატარე და გასულ სეზონში 15 გოლი შევაგდე, რაც მარცხენა ფლანგზე მოთამაშე ფეხბურთელისთვის არცთუ ცუდი შედეგია. თუმცა ვიცი, რომ ბევრად მეტი შემიძლია და თავდაუზოგავად ვარჯიშს გავაგრძელებ“ — თქვა 20 წლის კალუმ.

„ჩელსის“ თავმჯდომარე პიტერ კინიონი: „ალბათ, იგი თავიდანვე ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდება, მაგრამ დიდი პოტენციალი აქვს. კალუ ამჟამად მსოფლიოს ერთ-ერთი უნიჭიერესი მოთამაშეა და ვფიქრობ, დიდი ფეხბურთელი გახდება. თუმცა ამისთვის სერიოზული მუშაობაა საჭირო.“

კალუს ლონდონელთა რიგებში გადასვლა, სავარაუდოდ, გუნდიდან ახალგაზრდა ინგლისელ ფორვარდ კარლტონ კოულის წასვლას გამოიწვევს. იგი აქამდეც ძნელად ხვდებოდა „ჩელსის“ ძირითად შემადგენლობაში. ამბობენ, კოული „ტოტენჰემში“ გადადისო. გარდა ამისა, შესაძლოა, „სტემფორდ ბრიჯი“ გერმანელმა მცველმა რობერტ ჰუთმაც დატოვოს.

ჟოზე მაურინიუ ამ ტრანსფერებზე შეჩერებას არ აპირებს და გუნდში ახალგაზრდების მიყვანაზე ფიქრობს. ამჯერად მას 16 წლის ებრაელ ფორვარდ ბენ საჰარისთვის დაუდგამს თვალი. პორტუგალიელმა ისიც დაადასტურა, რომ საცაა, თავის თანამემამულეს, „ნასიონალის“ 30 წლის მეკარე ილარიოს დაიმატებს. რაც მთავარია, ლონდონელთა თავკაცმა აღიარა, რომ რობერტო კარლოსის ხელში ჩაგდებასაც ცდილობს.

„კარლოსი 33 წლისაა, მაგრამ თავის პოზიციაზე ახლაც ერთ-ერთი საუკეთესოა და ძალიან გამიხარდება, თუ ჩვენთან ითამაშებს“ — თქვა პორტუგალიელმა.

ბუნებრივია, მაურინიუმ შევჩენკოზეც ილაპარაკა: „ეს ახდენილი ოცნებაა. „ჩელსიში“ მოსვლის დღიდან ანდრეი ყოველთვის ჩემი პირველი სამიზნე იყო. იგი უმაღლესი კლასის, ამბიციური, გაწონასწორებული და ჭკვიანი მეგოლეა. „მილანი“ დიდი კლუბია, მაგრამ, ვფიქრობ, მან სწორი არჩევანი გააკეთა, როცა ჩვენთან გადმოსვლა გადაწყვიტა“.

გიორგი ძაძაბაძე

„190 ათასი“ მეუღლითურთ

მამა აბრამის ბერლუსკონი

ფულვიომ ბატკანი იპოვა, კაპელომ — აგარაკი

ფულვიო ჯანარია იტალიელი ადვოკატი გახლავთ, რომელიც „იუვენტუსის“ გადამდგარი გენერალური მენეჯერის, ლუჩანო მოჯის დაცვითაა დაკავებული

სილვიო ბერლუსკონი

ფაბიო კაპელო

ადვოკატების ამბავი მოგეხსენებათ, საქმეს ხელს რომ მოკიდებენ ჯერ შეისწავლიან, რამდენი ბოლოც აქვს იმდენიდან განიხილავენ და ხელჩასაჭიდს რომ შენიშნავენ — ხელჩასაჭიდი კი ამ ქვეყნად, გვერწმუნეთ, ყველაფერს აქვს — ზედ სტრატეგიას აწყობენ. ასე მოიქცა სინიორ ჯანარიაც, რომელიც მიხვდა, რომ მოჯის დასაცავად ყველაზე ეფექტური ხერხი კონტრშეტევა იქნება. და თქვენ კითხულობთ, ვინ არის მისი კონტრთავდასხმის ობიექტი? ვინ და ის, ვინც მთელ იმ რია-რიაში, რომელსაც ორი სიტყვით ქვემოთ შეგახსენებთ, გასუსულა და ისე იქცევა, თითქოს მამა აბრამის ბატკანი იყოს — „მილანი“, რომლის პრეზიდენტიც იტალიის აწ უკვე ყოფილი პრემიერ მინისტრი სილვიო ბერლუსკონი გახლავთ, ვიცე-პრეზიდენტი კი ქვეყნის საფეხბურთო ლიგის შეფი ადრიანო გალიანი.

მაგრამ სინიორ ჯანარიას ისიც კარგად აქვს გათვლილი, რომ ბერლუსკონიზე, როგორც პრემიერზე ლაპარაკი არ შეიძლება, იმიტომ, რომ ასე სახელმწიფოს წინააღმდეგ ლაშქრობა გამოუვა. სხვა სიტყვებით, მან რომ თქვას პრემიერი „მილანს“ თავისი პრემიერობით ეხმარებოდაო, ერთი კაცის კი არა, მთელი რესპუბლიკის წინააღმდეგ დარჩება ხმალამოღებული და კაცმა რომ თქვას, ალბათ მტყუანიც, რამეთუ საეჭვოა, რომ ბერლუსკონი „შავ-წითლებს“ სახელმწიფო აპარატის მეშვეობით დახმარებოდა. ამიტომ ადვოკატმა გაზეთ „ლა სტამპასთან“ ინტერვიუში განაცხადა:

„მოჯი მთელი ამ ხნის განმავლობაში „იუვენტუსს“ ძალაუფლების ნამდვილი ცენტრებისგან იცავდა. ვის ვგულისხმობ? ვის და „მილანს“, რომელიც სატელევიზიო კომპანიებს ფლობს, რომელიც სხვადასხვა კლუბების თამაშების ტრანსლაციის უფლებებს ერთად ყიდულობს და თამაშ-თამაშ ყიდის“.

ჯანარიას სიტყვები — „მილანი“ სატელევიზიო კომპანიებს ფლობს, უნდა გავიგოთ, როგორც ბერლუსკონი სატელევიზიო კომპანიებს ფლობს და ვექილის გეგმაც ნათელი ხდება — რეალურ ძალაუფლებასა და ფულს იტალიურ ფეხბურთში ფლობს არა „იუვენტუსი“, არამედ ქვეყნის ყველაზე გავლენიანი კაცი, რომელიც იტალიურ ფეხბურთში აგორებულ სკანდალში არც თვითონ ფიგურირებს და არც მისი ქვეშევრდომები გამოუჩენიათ გამომძიებლებს სადმე.

მოგეხსენებათ, სკანდალი „იუვენტუსიდან“ აგორდა. პროკურატურამ ხელთ იგდო მოჯის და რამდენიმე სხვა კაცის სატელეფონო საუბრების ჩანაწერები, რომელთა შინაარსიც კორუფციული და დანაშაულებრივია.

„მათ წარმოადგინეს ექვსი-შვიდი ადამიანის ჩანაწერი, მაგრამ ამ საუბრების შესარჩევად სულ მცირე, 2500 საუბარი უნდა მოესმინათ, რათა მათგან 40-ს მაინც დაედასტურებინა საფეხბურთო მაფიისა და ეგრეთწოდებული „მოჯის სისტემის“ თეორია. წარმოგვიდგინონ დანარჩენი საუბრებიც, იქნებ მათში ჩვენ აღმოვაჩინოთ მაფიის არსებობის სხვა ტიპის უტყუარი დოკუმენტები. როგორ დავიცვათ თავი თუ საბუთებთან და მასალასთან არ მიგვიშვებენ?“ — განაცხადა ამასთან დაკავშირებით ადვოკატმა ჯანარიამ, რომლის სიტყვებსაც „მილანმა“ თავის ოფიციალურ ინტერნეტ საიტზე ცხადია, კატეგორიული პასუხი გასცა. თავის პატიოსნებასა და სიწმინდეზე ოფიციალურად განაცხადა „ლაციო“ პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომაც, რომელსაც ასევე უთხრიან ძირს, თუმცა „იუვენტუსს“ დავუბრუნდეთ.

ფაბიო კაპელო შეიძლება „რეალის“ მწვრთნელი გახდეს! „ბებერი ქალბატონის“ თავკაცი, არც მეტი არც ნაკლები, „რომას“ ყოფილი დირექტორის ფრანკო ბალდინის აგარაკზე მადრიდელთა პრეზიდენტობის კანდიდატთან, რამონ კალდერონთან და მის მარჯვენა ხელთან პრედრაგ მიატოვიჩთან მოსაუბრე ნახეს, უფრო სწორად კი ოთხეულს ჟურნალმა „კიმ“ ფოტოები გადაუღო. გუშინ კაპელოს, რომელიც ამბობს, რომ კალდერონს ჯერ არაფერზე დათანხმებია, „იუვეს“ შეფებთან ჰქონდა შეხვედრა. ამბობენ იმასაც, რომ კაპელოსთან ერთად ტურინი—მადრიდის თვითმფრინავში შეიძლება ჩასხდნენ ჯანლუკა ძამბროტა, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, დავიდ ტრეზეგე, პატრიკ ვიეირა და ემერსონი, თუმცა ამ ხალხის ასე ერთბაშად ყიდვას, სავარაუდოდ, ფეხბურთის კლუბის კი არა, ქალაქ მადრიდის რამდენიმე თვის ბიუჯეტი უნდა დაჭირდეს.

„მსიამოვნებს როდესაც მეუბნებიან, რომ ჩემით „რეალია“ დაინტერესებული — თქვა ბრაზილიის ნაკრების ბანაკში ჟურნალისტებთან მოსაუბრე ემერსონმა — თუმცა ჯერ გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. ჯერ „იუვენტუსის“ ამბავი მაქვს გასარკვევი. სამწუხაროა ასეთი არეულობა რომ დაიწყო. ჩვენ ფეხბურთელებს მოედანზე ანომალიური არაფერი შეგვინიშნავს, ყოველ შეხვედრაში გამარჯვებისთვის ვდებდით თავს და აბა, რა მოგახსენოთ. ხალხი ხომ, საერთოდ, ეჭვებითაა სავსე“.

და თუ კაპელო სადმე, თუნდაც „რეალში“ წავა, მის ადგილს ალბათ, „სამპდორიას“ თავკაცი ვალტერ ნოველინო დაიკავებს, რომელიც, სავარაუდოდ, ტრანსფერების სპეციალისტ ჯუზეპე მაროტასაც ჩაიყვანს გენუიდან ტურინში.

პაპუნა კედია

ამხანაგური მატჩები

AFP კუნეგიდან

დელ პიერო დაღლილი ჩანდა

ალესანდრო დაქანცული ტოტიმ სენდეროსი იგემა

შვეიცარია 1:1 იტალია

0:1 ჯილარდინო (11), 1:1 გიგაქსი (32)

შვეიცარია: ცუბერბიულერი (კოლტორტი 46), ფ. დეგენი, ჯირუ, მანინი (შპიხერი 46), სენდეროსი (გრიხტინგი 70), ბარნეტა, კაბანასი (მარგარიაცი 46), ფოგელი, ვიკი (ჰ. იაკინი 62), ფრეი, გიგაქსი (დ. დეგენი 90)

მწვრთნელი: იაკობ კუნი

იტალია: ბუფონი, ძაკარდო, მატერაცი (ოდო 46), კანავარო, გროსო (ბონერა 60), კამორანეზი (დე როსი 46), გატუზო, პირლო (პეროტა 74), ტოტი, დელ პიერო (იაკინტა 46), ჯილარდინო (ტონი 46)

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

იტალიამ და შვეიცარიამ 1:1 ითამაშეს, თან ისეთ შეხვედრაში, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ექსპერიმენტული ეწოდოს — მეორე ტაიმის მსვლელობისას როგორც ერთმა ასევე მეორე გუნდმა ექვსი ფეხბურთელი შეცვალა.

იტალიელ მიმომხილველებს ალესანდრო დელ პიერო ეჩვენათ დაქანცული, ფრანჩესკო ტოტი კი თებერვლის შემდეგ პირველად დაუბრუნდა ნაკრებს და ძალიან დაშინებული ჩანდა — „არსენალის“ მცველმა ფილიპ სენდეროსმა თავიდანვე აგემა ერთი გვარიანი ჯახი და მას მერე „რომას“ კაპიტანი ერთიხანობა კონტაქტს გაურბოდა.

მეორე ტაიმში „სკუადრა აძურას“ ქომაგთა საბედნიეროდ ტოტიმ მხნეობა მოიკრიბა — რაც თავდასხმიდან ნახევარდაცვაში მის დაწევას დაემთხვა — და შვეიცარიელთა კართან ორი აშკარა საგოლე მომენტი შექმნა, ოღონდ ორივეჯერ მეკარე ფაბიო კოლტორტიმ იყოჩაღა.

თუმცა ანგარიში მაინც იტალიელებმა გახსნეს და ამისთვის ბევრი ლოდინი არ დასჭირვებიათ — თამაშის დაწყებიდან თერთმეტ წუთში, ალბერტო ჯილარდინომ სივრცე იხელთა და თავისი საქმე ლაღად შეასრულა, ოღონდ ეგაა, შესვენებამდე ამ შეხვედრაში სხვა მომენტი არ შექმნილა. შვეიცარიელთა ხუთკაციანი დაცვა შეუვალი იყო და მასთან ჭიდაობაში იტალიელთა თავდამსხმელები მაინც და მაინც ეფექტურები არ ჩანდნენ.

შვეიცარიელებმა 32-ე წუთზე გაათანაბრეს: რიკარდო კაბანასმა დანიელ გიგაქსს გადააწოდა ბურთი და მანაც ჯანლუიჯი ბუფონის კარის მაღალ კუთხეში დაუმიზნა.

„დღეს ალესანდრო ნესტასა და ჯანლუკა ძამბროტას გარეშე ვითამაშეთ, ასე, რომ მომავალში, იმედია, შემადგენლობა უფრო ძლიერი გვეყოლება. საერთოდ კი, მთავარი ისაა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ვემზადებით და განასთან შეხვედრის წინ, პარასკევს, კიდევ ერთი ძნელი საკონტროლო მატჩი გველის“ — თქვა იტალიელთა თავკაცმა მარჩელო ლიპიმ.

შვეიცარიის ნაკრების თავკაცი კობი კუნი: „მენტალურად ჩემპიონატისთვის მზად ვართ, თუმცა ფიზიკური მომზადება სასურველია უკეთესი იყოს. საბოლოოდ, შემიძლია გითხრათ, რომ დღევანდელი თამაშით კმაყოფილი ვარ“.

„გუნდს, რომელიც კოტ დივუართან და იტალიასთან ფრედ ითამაშებს, არაფრის არ უნდა ეშინოდეს“ — დასძინა შვეიცარიელთა კმაყოფილმა თავდამსხმელმა ალექსანდრ ფრეიმ.

პაპუნა კედია

ტიერი ანრი ცხრა წლით დაპატარავდა

საფრანგეთი 2:0 დანია

1:0 ანრი (12), 2:0 ვილტორდი (75პ)

საფრანგეთი: ბარტეზი, სანიოლი (ჩიმბონდა 87), ტურამი, გალასი, აბიდალი (სილვესტრი 82), მალუდა, მაკელელე, ვიეირა, ზიდანი (რიბერი 65), ანრი (სისე 78), საა (ვილტორდი 56)

მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი

ფრანგებმა დანიელებს თითო ტაიმში თითო გოლი გაუტანეს და იქნებ, მექსიკასთან თამაშის შემდეგ გულშემატკივართა ერთ ნაწილს იმედიც დაუბრუნეს. პირველი გოლი ტიერი ანრიმ შეაგდო, მეორე სილვენ ვილტორდმა.

ანრისთვის ეს გახლდათ დაბრუნება იმ სტადიონზე, სადაც ცხრა წლის წინ პირველად მოირგო საფრანგეთის ნაკრების მაისურა — ლანსის „ფილიპ ბოლერზე“ „არსენალის“ ვარსკვლავმა ლუი საას თავ-გაკრული პასით მე-12 წუთზე გახსნა ანგარიში, შეცვლაზე შესული ვილტორდის გოლი კი პენალტიდან გავიდა.

რამდენიმე დღის წინ „სტად დე ფრანსზე“ გამართული მატჩისგან განსხვავებით, ლანსში ხალხიც თბილად შეხვდა თავის ფეხბურთელებს და გუნდშიც ხუთი ცვლილება ვიხილეთ. აქვე შეგახსენებთ, რომ ლურჯებს მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი თამაში 13 ივნისს შტუტგარტში საკმაოდ სახიფათო შვეიცარიასთან ელით, თუმცა მანამდე 7-ში კიდევ ერთი ამხანაგური თამაში აქვთ დაგეგმილი, ჩინეთთან.

მატჩის შემდეგ ფრანგების მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა განაცხადა: „გამარჯვება ყოველთვის ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ მოდი ნუ დავივიწყებთ, რომ ჯერჯერობით ეს მხოლოდ ამხანაგური მატჩებია. 11 კაცზეც არ არის ლაპარაკი, 23 ემზადება. გუნდი ზუსტად უნდა მოიმართოს და ბიჭებმა ერთსულოვნად უნდა იმოქმედონ“.

ლურჯებმა მეტოქის საჯარიმოსთან მიჭყლეტა პირველივე წუთებიდან სცადეს და მართალია თავიდან შედეგი ვერ მიიღეს, საბოლოოდ მაინც მიაღწიეს მიზანს — აკი მოგახსენეთ, რომ ანრიმ ანგარიში გახსნა. გაშვებულ გოლს დანიელებმა მყისიერი კონტრშეტევით უპასუხეს, ოღონდ, ანგარიშიდანვე ჩანს, რომ გოლი არ გაუტანიათ, კრისტიან პოულსენმა თავით ააცილა მიზანს.

სტუმრებს ორ წუთშიც შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, თუმცა შტუტგარტელ იონ დალ ტომასონსაც არ გაუმართლა.

29-ე და 55-ე წუთებზე ოქროს შესაძლებლობები გაუშვა ხელიდან ანრიმ.

ზინედინ ზიდანი 65-ე წუთზე ფრანკ რიბერიმ შეცვალა, ვილტორდი კი მოედანზე საას მაგივრად შევიდა და რიბერის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი შეაგდო.

პაპუნა კედია

AFP სლოვენიიდან

ტრინიდადელი ჯონი სლოვენიელს ვერ გაექცა

სლოვენია დარბის, ტრინიდადი დადის

სლოვენია 3:1 ტრინიდადი

1:0, 2:0 ნოვაკოვიჩი (4, 15), 2:1 ბირჩალი (25), 3:1 ნოვაკოვიჩი (77)

ტრინიდადი: ჰისლოპი, გრეი, ე. ჯონი, ლოურენსი, ბირჩალი, ედვარდსი (სანჩო 46), თეობოლდი, შ. ჯონი, სკოტლენდი, იორკი

მწვრთნელი: ლეო ბეენჰაკერი

ლეო ბეენჰაკერის ტრინიდადმა კიდევ ერთი წინასამუნდიალო თამაში წაგო. ოკეანისგადმელები ამჯერად სლოვენიასთან დამარცხდნენ. ტრინიდადის ნაკრებმა ამას წინათ უელსთან დათმო 1:2, ხოლო აღმოსავლეთევროპელებთან ნოვაკოვიჩის ჰეთრიქს კრისტოფერ ბირჩალის ერთი გოლით უპასუხა.

პირველი ტაიმის მეთექვსმეტე წუთზე ანგარიში უკვე 2:0 იყო — ჰისლოპის კართან ჩაწოდებული ორი კუთხური ტრინიდადის ჯალათმა, ნოვაკოვიჩმა, გოლებად აქცია. კარიბელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ, ცუდი სტარტის მიუხედავად, გონს მოსვლა მალე მოახერხეს — უიტლის პასით ბირჩალმა 26-ე წუთზე ლამაზი გოლი გაიტანა.

შესვენებამდე გატანა ორიე გუნდს შეეძლო. სტუმართა შტერნ ჯონმა ორჯერ აცილა მიზანს, ხოლო ილიჩის დარტყმა ჰისლოპმა მოიგერია.

ტაიმთაშორისის შემდეგ, თითქოს მეტად ტრინიდადი აქტიურობდა, მაგრამ მასპინძელთა იერიშები უფრო შედეგიანი გამოდგა. ჩეხი და ნოვაკოვიჩი გოლამდე ერთ ნაბიჯზე იყვნენ, თუმცა ჰისლოპმა ივაუკაცა და მეორე ტაიმში 77-ე წუთამდე მშრალად შეინახა კარი. მერე კი... ნოვაკოვიჩის დარტყმას კარიბელებმა ვერაფერი მოუხერხეს და მატჩიც 3:1 დასრულდა სლოვენიის სასარგებლოდ.

ტრინიდადს მუნდიალზე ბრძოლა ინგლისის, პარაგვაის და შვედეთის ჯგუფში მოუწევს. სლოვენებთან ბურთაობის შემდეგ შეფიქრიანებულმა ბეენაჰაკერმა აღნიშნა, ნაკრების თამაშში რაიმე თუ არ შეეცვალეთ, მუნდიალზე დიდი ანგრიშებით წაგებას ვერ ავცდებითო. ლეოს ტრინიდადი ჯერჯერობით მსოფლიოს ჩემპიონატის აუტსაიდერად რჩება (კარიბელებს ვერც მობერებული ლეგენდა დუაიტ იორკი შველით), ხოლო სლოვენები ცოდონი არიან, შესარჩევ ჯგუფში რუსეთის დამჩოქებელი ნაკრები ესპანეთმა პლეი ოფიდან მოაშორა მუნდიალს...

ლადო ხომერიკი

AFP ლაბნიდან

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲛᲘᲠᲖᲐᲞᲣᲠᲛᲐ ᲛᲘᲗᲕᲐᲠᲔᲣᲚᲔᲑᲡ ᲣᲨᲕᲔᲚᲐ

AFP ფოტო-ანიდან

მადანჩი ბოსნიელ მეკარეს გასცდა

ᲘᲠᲐᲜᲘ 5:2 ᲑᲝᲡᲜᲘᲐ

0:1 მისიმოვიჩი (4), 0:2 ბარბარესი (17), 1:2 მადანჩი (26), 2:2 რეზაეი (44), 3:2 ჰაშემიანი (45), 4:2 ენაიათი (89), 5:2 ხატიბი (90)

ᲘᲠᲐᲜᲘ: მირზაპური (რუდბარიანი 46), ბახტიარიზადეჰი (შოჯაეი 46), გოლმოჰამადი (ზარე 46), კაბი, ნოსრატი, რეზაეი, მადანჩი, ნეკუნამი, თეიმურიანი, დაეი (ხატიბი 89), ჰაშემიანი (ენაიათი 69)

მწვრთნელი: ბრანკო ივანკოვიჩი

„ᲐᲖᲐᲓᲘᲡ“ სტადიონზე თავიდან ორი გოლი ბოსნიამ შეაგდო — ჩვიდმეტ წუთში ადგილობრივი მუსლიმი ფანობის გულის გასახეთქად მისიმოვიჩმა და ბარბარესმა 0:2 აანთეს ტაბლოზე. საერთოდაც, „აზადიზე“ პირველი ტაიმის დასაწყისში სტუმრები უფრო ჰგავდნენ მუნდიალის მონაწილეებს, ვიდრე დაბნეული მასპინძლები. ირანს ბაიერნელი ალი ქარიმი აკლდა, „აღმოსავლეთის მარადონა“ და, ეტყობა, იმიტომაც იყვნენ ადგილობრივები მთვარეულებივით. მეკარე მირზაპურმაც რამდენჯერმე გადაარჩინა თავის გუნდი გოლს და „აზადიც“, გულშემატკივრებისგან აკლებას...

თუმცა 26-ე წუთზე მადანჩიმ ჰაშემიანის პასით გაიტანა და ირანიც გამოფხიზლდა. თითრანელ არენაზე შეკრებილმა გულშემატკივრებმაც იხალისეს, მათი გუნდი შეტევაზე გადავიდა და შესვენებამდე კიდევ ორჯერ მოასწრო მიტროვიჩის კარის დალაშქვრა. საერთო სურათიდან ამოვარდნილივით იყო ვეტერანი ალი დაეი, რომლის საუკეთესო წლებიც უკვე წარსულს ჩაბარდა. აზიელები იმედს უფრო მარცხენა ფლანგზე და იქ მობურთავე მადანჩიზე ამყარებდნენ.

შესვენებაზე ირანის მწვრთნელმა ბრანკო ივანკოვიჩმა რამდენიმე დროული ცვლილება განახორციელა და შოკირებულმა ბოსნიელებმაც საგოლე მადაზე მოსული მასპინძლების შეკავება ვეღარ შეძლეს. რეზა ენაიათიმ და ხატიბიმ მატჩის მიწურულს ორჯერ კიდევ წაახდინეს სტუმრების დაცვა და მეკარე. ირანი მსოფლიოს ჩემპიონატზე D ჯგუფშია მექსიკასთან, ანგოლასთან და პორტუგალიასთან. თუ ივანკოვიჩის გუნდმა გერმანიაში ასეთი ჟინით იბურთავა, მეტოქეებს ირანთან გაუჭირდებათ.

ᲚᲐᲓᲝ ᲮᲝᲛᲔᲠᲘᲙᲘ

ᲫᲐᲚᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡ ᲛᲐᲠᲐᲓᲝᲜᲐ ᲐᲮᲡᲝᲕᲡ

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე „კიკერის“ კორესპონდენტი ინგლისის ნაკრების ვარსკვლავ ფრენკ ლამპარდს გაესაუბრა. „ჩელსის“ 27 წლის ფეხბურთელი მედიას თავისი ნაკრების ძალაზე, მწვრთნელ სვენ გორან ერიკსონზე და სამუნდიალო მიზნებზე ელაპარაკა

— მალე მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყება. რას გვეტყვით ინგლისის ნაკრების ძლიერ მხარეებზე?

— ამ შეკითხვაზე იოლად გიპასუხებთ. ვინც ჩვენს მატჩებს უყურებს და ფეხბურთელებს ყურადღებით აკვირდება, მიხვდება, რომ მინდორზე ერთმანეთს შესანიშნავად ვუგებთ. გუნდური სულის მხრივ ინგლისის ნაკრებს წუნს ვერ მოუძებნით. ეს უმთავრესია გუნდისთვის, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებას აპირებს.

— ასეთი ფრაზები უკვე მოგვისმენია თქვენგან, როცა „ჩელსიზე“ საუბრობდით...

— გეთანხმებით, მაგრამ ტყუილი არც ერთ შემთხვევაში არ მითქვამს. გუნდური სული „ჩელსის“ და ინგლისის ნაკრების ძლიერი მხარეა. რა თქმა უნდა, ეროვნული გუნდი ყოველდღე არ იკრიბება, თუმცა ერთმანეთს მაინც ყველა კარგად უგებს. ჩვენს ნაკრებში ახალგაზრდების ძალა და ვეტერანთა გამოცდილება ერთმანეთს კარგად ერწყმის.

— „ჩელსი“ და ეროვნული გუნდი რითი ჰგვანან ერთმანეთს?

— კლუბშიც და ნაკრებშიც საშუალებას გვაძლევენ, გავაკეთოთ ის, რაც ცხოვრებაში ყველაზე მეტად მოგვწონს, ანუ ფეხბურთი ვითამაშოთ. თან ვითამაშოთ უმაღლეს დონეზე, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელების გვერდით. ეს ფანტასტიკურია, მაგრამ უმაღლეს დონეზე ბურთაობა — მუდმივ დაძაბულ შრომას და საკუთარი სტილის დახვეწას ნიშნავს. კოლეგებისგან გამუდმებით რაღაცას სწავლობ. წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდში შენს ადგილს სხვა დაიკავებს... ვინც ფიქრობს, რომ „ჩელსის“ დარ კლუბში ან ინგლისის ნაკრებში რაკი მოხვდა, შეუძლია, გულხელდაკრეფილი იყოს, ცდება.

— საკვალიფიკაციო ეტაპზე რომელ მატჩში გაგიძნელდათ ყველაზე მეტად?

— ჩრდილოეთ ირლანდიასთან ბელფასტში წაგება რთული დარტყმა იყო ინგლისისთვის. ამ თამაშამდე უელსთან მოვიგეთ, მაგრამ არცთუ შთამბეჭდავად და გამხნევებულმა ირლანდიელებმაც ჩვენთან სამი ქულის აღება შეძლეს.

— ინგლისს მაშინ მართლაც მძიმე დღე ჰქონდა...

— ბელფასტში ჩვენს ნაკრებს 80 წელი არ წაეგო და მოედანზე არხეინად გავედით. ცუდად ვითამაშეთ, ჩრდილო ირლანდიამ კი პირიქით, თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. თამაშის მერე გაზეთებმა პანიკა ატეხეს, მუნდიალის საგზურის მოსაპოვებლად ხომ კიდევ ორი მძიმე მატჩი გვრჩებოდა.

— ერიკსონი კი სიმშვიდეს ინარჩუნებდა. რას ფიქრობთ მწვრთნელზე?

— ნაკრებში მხოლოდ სვენის თავკაცობით მითამაშია, ამიტომ სხვა მწვრთნელებთან მისი შედარება გამიჭირდება. თუმც ფეხბურთში ერიკსონის მონაგარს თუ გადავხედავთ, დარწმუნდებით, რომ შვედი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო დამრიგებელია. ინგლისის ეროვნულ გუნდში ვეტერანების და ახალგაზრდების თამაში ერთმანეთს კარგად შეუთავსა და მოხერხებული სისტემაც დანერგა, რომელიც შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოვლენაში გვიწყობს ხელს.

— თქვენთვის პირადად რამდენად მნიშვნელოვანია გერმანიის მუნდიალი?

— ყველაფრის დაგეგმვა რომ შეიძლებოდეს, გერმანია 2006-ს, როგორც ჩემი კარიერის უმაღლეს წერტილს, ისე შევხედავდი. მაგრამ ფეხბურთში ვარაუდები ხშირად არ მართლდება. წამიერი უზუსტობა ყველაფერს ცვლის. ამიტომაც ვერ ვიტყვი, რომ გერმანიაში მსოფლიოს ჩემპიონატს აუცილებლად მოვიგებთ. ეს ფავორიტებისადმი უპატივცემულობა იქნება. თუმცა ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი ინგლისის ნაკრებიცაა.

— ინგლისის ძირითად მეტოქეებზე გვითხარით... მუნდიალზე ვისთან შეხვედრას ისურვებდით?

— ფავორიტი ბრაზილიაა. მოხარული ვიქნები, მათთან ძალის მოსინჯვის შანსი თუ გვექნება. თან 2002-ში ბრაზილიელებთან 1:2 წავაგეთ. ინგლისის ნაკრების ყველა ფეხბურთელს ბრაზილიასთან თამაში და მოგება სურს.

— 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე თქვენ ნაკრებში არ იყავით. წინა მუნდიალებიდან რომელს გაიხსენებდით?

— მექსიკის მსოფლიოს პირველობაზე ინგლისი — არგენტინა მახსოვს. 1986-ში, მეოთხედფინალში, მარადონას გოლებით მუნდიალს დავემშვიდობეთ. მსოფლიოს ჩემპიონატები ჩემს მეხსიერებაში აქედან იწყება. დიეგომ პირველი გოლი „ღმერთის ხელით“ გაგვიტანა, მეორე ფანტასტიკური დრიბლინგით...

— განსაკუთრებულად რომელი ფეხბურთელები მოგწონთ?

— ისევ და ისევ მარადონა. უბრალოდ, ის განუმეორებელი იყო. პელეს თამაში ცოცხლად არ მინახავს და ამიტომ ჩემი თაობისთვის ფეხბურთის მეფე მარადონაა.

— მუნდიალებზე თქვენთვის ყველაზე დაუვიწყარი მატჩი...

— 1990 წელს მერვედფინალში ინგლისის ბელგიასთან 1:0 გამარჯვება. 12 წლის ვიყავი და ეს ყველაფერი ტელევიზორით ვნახე. პოლ გესქოინმა პლატს ჩააწოდა და გოლიც გავიდა... არადა, უკვე პენალტებს ველოდებოდი...

— რა თქმა უნდა, თქვენთვის ბრწყინვალე იქნება, რომ ინგლისი მსოფლიოს ჩემპიონი გახდეს. დაგვისახელეთ სამი რამ, რაც ერიკსონის ნაკრებს პირველობისთვის სჭირდება.

— დაცვაში კარგი თამაში, გოლები და ცოტა ბედიც. ეს ყველა გუნდს სჭირდება დიდი ტურნირის მოსაგებად — საკლუბო თუ სანაკრებო დონეზე.

— არასაფეხბურთო გატაცებაზე, ჰობის შესახებაც გვითხარით...

— გადატვირთული კალენდრის გამო თავისუფალი დრო ცოტა მაქვს. აღმოსავლური რესტორნების სტუმრობა მიყვარს, ეგზოტიკა. მცირე ხნით მწყვეტს საფეხბურთო რეალობას, რაც აუცილებელია. ასევე სიამოვნებით ვსეირნობ სკვერში ჩემს ძაღლთან ერთად.

ᲕᲔᲠᲝᲜᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲖᲔ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ

ᲕᲔᲠᲝᲜᲘᲡ ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚ ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲗᲐᲜ ᲙᲐᲛᲐᲗᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲛᲝᲣᲬᲔᲕᲡ

ᲮᲣᲐᲜ ᲡᲔᲑᲐᲡᲢᲘᲐᲜ ᲕᲔᲠᲝᲜᲛᲐ ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, თავისი ოჯახის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო ანუ სამშობლოში ბრუნდება და კარიერას იქ დაასრულებს.

„ბოლო 10 დღის მანძილზე ამ საკითხზე ძალიან ბევრი ვიფიქრე და საბოლოოდ გადაწყვეტილებაც მივიღე. ეს ადვილი არ ყოფილა. ყველა „ინტერში“ დარჩენას მთხოვდა და მეც აქ თავს ჩინებულად ვგრძნობ, მაგრამ ოჯახი ჩემთვის პირველ ადგილზეა. ჩემს მეუღლეს და შვილებს კი სამშობლოში დაბრუნება და იქ ცხოვრება სურთ, სამწუხაროდ, ბევრი მეგობრისა და თანაგუნდელების დატოვება მომიწევს, რომლებიც ევროპაში ჩემი ხანგრძლივი კარიერისას შევიძინე“ — განაცხადა ვეტერანმა ნახევარმცველმა.

ვერონს სურს, კარიერა თავის პირველ კლუბში, „ესტუდიანტესში“ დაასრულოს, თუმცა არც „რივერ პლეიტში“ ან „ბოკა ხუნიორსში“ თამაშზე იტყვის უარს. მისი მომავალი გუნდი, ალბათ, უახლოეს დღეებში გაირკვევა. იგი ევროპაში 1996 წელს გამოჩნდა, როდესაც გენუის „სამპდორიაში“ ჩაირიცხა. ამას მოჰყვა ბრწყინვალე პერიოდი „პარმასა“ და „ლაციოში“. შემდეგ ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ჩელსი“ იყო. ბოლოს კი იტალიაში დაბრუნდა და „ინტერში“ გადავიდა.

„ნეროაძურის“ ხელმძღვანელობისთვის, კერძოდ კი გუნდის მწვრთნელ რობერტო მანჩინისთვის ეს დიდი იმედგაცრუებაა. იგი „ინტერის“ თამაშს ძირითადად, სწორედ ვერონზე აგებდა და ახლა მისი შემცვლელის ძებნა მოუწევს. მართალია, ამისთვის მილანელებმა „უდინეზედან“ დავიდ პიზარო დაიმატეს, მაგრამ ჩილელმა მოლოდინი ვერ გაამართლა.

ᲙᲝᲙᲘ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ

ᲓᲘᲓᲘ ᲙᲐᲠᲝ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲠᲐᲡᲘᲜᲒᲨᲘ

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘᲡ „რეალის“ მწვრთნელი ხუან რამონ ლოპეს კარო მომავალი სეზონიდან სანტანდერის „რასინგის“ თავკაცი გახდება.

„ცხადია, „რასინგი“ ესპანეთის კვალობაზე გრანდი არაა. მცირე ბიუჯეტიანი კლუბია, მაგრამ მაინც მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს — განაცხადა ლოპეს კარომ გუშინდელ პრესკონფერენციაზე — ხუთი წელი ვიმუშავე „სამეფო კლუბში“ და ახლა წასვლა გადავწყვიტე. „რეალის“ ფანებს ჩემი სჯეროდათ, მაგრამ პროფესიონალიზმი არ მეყო საიმისოდ, რომ „რეალი“ სათანადოდ გამეწვრთნა“.

ხუან რამონ ლოპეს კარო 2005 წლის დეკემბერში „რეალის“ მეორე გუნდიდან მიიყვანეს მთავარ გუნდში ვანდერლეი ლუმემბურგოს ნაცვლად. კაროს თავკაცობით „რეალი“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალს ვერ გასცდა, პრიმერადივიზიონში კი მეორე ადგილი დაიკავა.

რაც შეეხება „რასინგს“, მას დროებით ნანდო იოსუ წვრთნიდა, რომელმაც გუნდი სეგუნდადივიზიონში გავარდნისგან იხსნა.

ᲑᲔᲜᲢᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲜᲘᲢᲔᲡᲘ

ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲣᲠᲘ „ლივერპული“ „ჩარლტონის“ ფორვარდ დარენ ბენტს უტრიალებს და დიდი შანსია, ეს ტრანსფერი შედგეს კიდეც. მერსისაიდელთა თავდასხმა საკმაოდ შესუსტდა მას მერე, რაც ფერნანდო მორიენტესი „ვალენსიაში“ გადაბარგდა, ხოლო ჯიბრილ სისეს „ლიონში“ გადასვლა ფაქტობრივად გადაწყვეტილია.

მიუხედავად იმისა, რომ დარენ ბენტმა პრემიერლიგის გასულ სეზონში ჩინებულად ითამაშა და 22 გოლი გაიტანა, იგი ეროვნული ნაკრების თავკაც სვენ გორან ერიკსონის ყურადღების ცენტრში არ მოექცა, თუმც „ჩარლტონის“ ფორვარდს რამდენიმე გრანდი უტრიალებს.

ამბობენ, მერსისაიდელები მზად არიან, 22 წლის თავდამსხმელში 9,5 მილიონი გირვანქა გადაიხადონო. მისით ძალიან დაინტერესებულია „ნიუკასლიც“, მაგრამ „ჯორდები“ ოდენ 6 მილიონს იხდიან. „ჩარლტონი“ პერსპექტიული ფორვარდის შენარჩუნებაზე ფიქრობს, მაგრამ სათანადო კომპენსაციის მიღების შემთხვევაში მის გაყიდვაზე უარს არ იტყვის.

„ლივერპული“ აქამდე „კრისტალ პალასის“ ყოფილი მეგოლის, ენდი ჯონსონის შეძენით იყო დაინტერესებული, მაგრამ იგი „ლივერპულის“ მოსისხლე მტერმა „ევერტონმა“ იყიდა.

ᲙᲝᲙᲘ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ

ᲤᲚᲝᲠᲔᲜᲪᲘᲐᲨᲘ ᲚᲘᲚᲝᲡ ᲑᲐᲖᲠᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲙᲔᲢᲐ

ᲞᲝᲠᲢᲘᲜᲝᲡ ᲘᲔᲑᲘᲡ ᲧᲘᲓᲕᲐ-ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲐ ᲐᲣᲙᲠᲫᲐᲚᲔᲡ

ᲞᲐᲜᲢᲐᲚᲔᲝ ᲙᲝᲠᲕᲘᲜᲝ

ᲤᲚᲝᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ „ფიორენტინას“ „ტრანსფერების გურუს“, პანტალეო კორვინოს, საქმიანობა 6 თვით აუკრძალეს. „იების“ სპორტულ დირექტორს, „ლეჩეს“ ახალგაზრდული გუნდის ყოფილ მწვრთნელ ანტონიო ლილოსთან ერთად, წესების დარღვევაში ედება ბრალი.

საქმე ის არის, რომ 2003-04 წლების სეზონში კორვინოს „ლეჩედან“ ლილოს დახმარებით სამი პერსპექტიული მოთამაშე გადაუყვანია, რომლებსაც 14 წელი ჯერ არ შესრულებოდათ, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა.

პანტალეო კორვინო: „განაჩენი ულაპარაკოდ მივიღე, მიუხედავად იმისა, რომ მას არ ვეთანხმები და ყველანაირად ვეცდები, ჩემი სიმართლე დავამტკიცო. წესებს ყოველთვის პატივს ვცემთ და მომავალშიც ასე იქნება“.

„იტალიის ფეხბურთის ფედერაციისა და დისციპლინარული კომიტეტის ამ განაჩენის მიუხედავად, კლუბი და დელა ვალების ოჯახი სრულ მხარდაჭერას უცხადებს სპორტულ დირექტორ პანტალეო კორვინოს“ — ნათქვამია „ფიორენტინას“ ოფიციალურ განცხადებაში.

კორვინოს განაჩენის გასაჩივრების უფლება აქვს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში იგი უახლოეს მომავალში გუნდის სატრანსფერო პოლიტიკაზე ზრუნვას ვერ შეძლებს. ეს კი საკმაოდ სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის „ფიორენტინას“, რომელსაც აგვისტოში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე უწევს თამაში და იქამდე გაძლიერება უნდა.

ᲙᲝᲙᲘ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ

ᲞᲝᲓᲝᲚᲡᲙᲘ ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲔᲚᲘᲐ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ნაკრებისა და „კიოლნის“ ფორვარდმა ლუკაშ პოდოლსკიმ განაცხადა, რომ ივლისიდან „ბაიერნის“ მაისურას მოირგებს.

„ბედნიერი ვარ, ეს გაწელილი ტრანსფერი საბოლოოდ რომ მოგვარდა — თქვა პოდოლსკიმ გუშინ ნაკრების ბაზაზე — „ბაიერნი“ ახალი გამოწვევა იქნება ჩემთვის, მიუნხენი კი — ახალი ქალაქი. „ბაიერნი“ გერმანიაში საუკეთესო კლუბია“.

20 წლის პოდოლსკიმ სატრანსფერო დეტალებზე არ ისაუბრა, მაგრამ მედიის ცნობით, მიუნხენელებმა მეორე ბუნდესლიგაში გავარდნილ კლუბს ფორვარდის სანაცვლოდ 11 მილიონი ევრო გადაუხადეს.

პოდოლსკიმ 2004-05 წლების სეზონი უკვე გაატარა მეორე ბუნდესლიგაში და აღარ სურს, ერთხელ კიდევ ქვემოთ მოგზაურობა.

ᲕᲐᲟᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲘᲮᲐᲔᲚ ᲑᲐᲚᲐᲙᲛᲐ ᲨᲔᲤᲔᲕᲐᲡ ᲨᲔᲣᲤᲘᲐ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ნაკრების კაპიტანმა მიხაელ ბალაკმა მუნდიალის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ეროვნული ნაკრების თავკაცი იურგენ კლინსმანი გააკრიტიკა. ინგლისურ „ჩელსიში“ გადასულ ნახევარმცველს მწვრთნელი აქამდე არასოდეს გაუკრიტიკებია.

მიხაელ ბალაკი: „კლინსმანმა ახალგაზრდა გუნდი ჩამოაყალიბა, რომელიც დაცვაში მუდამ ერთსა და იმავე შეცდომებს უშვებს. ძალიან შემტევი სტილით ვთამაშობთ, მაგრამ ბევრ გოლს ვუშვებთ. ასეთი სტილი მუნდიალზე ჩვენს მომავალ მეტოქეებთან — კოსტა რიკასთან, ეკვადორთან და პოლონეთთან — არ გამოგვადგება, რადგან ისინი კონტრშეტევებზე ერთობ სახიფათონი არიან“.

როგორც მოგახსენეთ, ბალაკს კლინსმანი აქამდე საჯაროდ არასოდეს გაუკრიტიკებია, თუმცა დაცვაში სუსტმა თამაშმა გერმანელთა კაპიტანს მოთმინების ფიალა აუვსო.

„მწვრთნელმა ჩემი და შესაბამისად სხვა ფეხბურთელების განწყობა იცის. ამის შესახებ უკვე ვილაპარაკეთ და იმედია, შესაბამის გადაწყვეტილებას მივიღებთ. მთავარია, დაცვაში თამაში გამოვასწოროთ“ — დასძინა ბალაკმა.

ᲙᲝᲙᲘ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ

მსოფლიოს თასი
გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიიდან. H ჯგუფი: ესპანეთი, უკრაინა, ტუნისი, საუდეთი

ესპანეთი

1934 იტალია
მერვედფინალი
ესპანეთი 3:1 ბრაზილია
მეოთხედფინალი
იტალია 1:0 ესპანეთი

1950 ბრაზილია
ჯგუფური ეტაპი
ესპანეთი 3:1 აშშ
ესპანეთი 2:0 ჩილე
ესპანეთი 1:0 ინგლისი
ფინალური ჯგუფი
ურუგვაი 2:2 ესპანეთი
ბრაზილია 6:1 ესპანეთი
შვედეთი 3:1 ესპანეთი

1962 ჩილე
ჯგუფური ეტაპი
ესპანეთი 1:0 მექსიკა
ჩეხოსლოვაკია 1:0 ესპანეთი
ბრაზილია 2:1 ესპანეთი

1966 ინგლისი
ჯგუფური ეტაპი
არგენტინა 2:1 ესპანეთი
ესპანეთი 2:1 შვეიცარია
გფრ 2:1 ესპანეთი

1978 არგენტინა
ჯგუფური ეტაპი
ავსტრია 2:1 ესპანეთი
ბრაზილია 0:0 ესპანეთი
ესპანეთი 1:0 შვეიცარია

1982 ესპანეთი
I ჯგუფური ეტაპი
ესპანეთი 1:1 ჰონდურასი
ესპანეთი 2:1 იუგოსლავია
ჩრ. ირლანდია 1:0 ესპანეთი
II ჯგუფური ეტაპი
გფრ 2:1 ესპანეთი
ინგლისი 0:0 ესპანეთი

2002 წელი. მორიენტესი ირლანდიის კარში გატანილი გოლით ხარობს

1986 მექსიკა
ჯგუფური ეტაპი
ბრაზილია 1:0 ესპანეთი
ესპანეთი 3:0 ალჟირი
ესპანეთი 2:1 ჩრ. ირლანდია
მერვედფინალი
ესპანეთი 5:1 დანია
მეოთხედფინალი
ესპანეთი 1:1(პენ.4:5) ბელგია

1990 იტალია
ჯგუფური ეტაპი
ესპანეთი 3:1 ს. კორეა
ესპანეთი 2:1 ბელგია
ურუგვაი 0:0 ესპანეთი
მერვედფინალი
იუგოსლავია 2:1 ესპანეთი

1994 აშშ
ჯგუფური ეტაპი
ესპანეთი 2:2 ს. კორეა
ბოლივია 1:3 ესპანეთი
გერმანია 1:1 ესპანეთი
მერვედფინალი
ესპანეთი 3:0 შვეიცარია
მეოთხედფინალი
იტალია 2:1 ესპანეთი

1998 საფრანგეთი
ჯგუფური ეტაპი
ესპანეთი 0:0 პარაგვაი
ესპანეთი 2:3 ნიგერია
ესპანეთი 6:1 ბულგარეთი

2002 კორეა-იაპონია
ჯგუფური ეტაპი
ესპანეთი 3:1 სლოვენია
ესპანეთი 3:1 პარაგვაი
ს. აფრიკა 2:3 ესპანეთი
მერვედფინალი
ესპანეთი 1:1(პენ.3:2) ირლანდია
მეოთხედფინალი
ესპანეთი 0:0(პენ.3:5) ს. კორეა

უკრაინა
დებიუტანტი

ტუნისი

1978 არგენტინა
ჯგუფური ეტაპი
ტუნისი 3:1 მექსიკა
პოლონეთი 1:0 ტუნისი
გფრ 0:0 ტუნისი

1998 საფრანგეთი
ჯგუფური ეტაპი
ინგლისი 2:0 ტუნისი
რუმინეთი 1:1 ტუნისი
კოლუმბია 1:0 ტუნისი

2002 კორეა-იაპონია
ჯგუფური ეტაპი
რუსეთი 2:0 ტუნისი
ტუნისი 1:1 ბელგია
ტუნისი 0:0 იაპონია

საუდეთი

1994 აშშ
ჯგუფური ეტაპი
საუდეთი 2:1 მაროკო
ჰოლანდია 2:1 საუდეთი
ბელგია 0:1 საუდეთი
მერვედფინალი
საუდეთი 1:3 შვედეთი

1998 საფრანგეთი
ჯგუფური ეტაპი
საუდეთი 0:1 დანია
საფრანგეთი 4:0 საუდეთი
ს.აფრიკა 2:2 საუდეთი

2002 კორეა-იაპონია
ჯგუფური ეტაპი
გერმანია 8:0 საუდეთი
კამერუნი 1:0 საუდეთი
საუდეთი 0:3 ირლანდია

ძას ძა შეცვლის

კრისტიან ძაკარდო

იტალიის ნაკრების ექიმების თქმით, ჯანლუკა ძამბროტა მსოფლიოს ჩემპიონატზე გამეგზავრება, მაგრამ, სავარუდოდ, „სკუადრა აძურას“ პირველ ორი მატჩს, განასთან და აშშ-სთან, გამოტოვებს.

„ტრავმა ძალიან სერიოზული ნამდვილად არ არის, მაგრამ სარეაბილიტაციო პერიოდი 15-20 დღეს გასტანს. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა, ჯანლუკა ჩეხეთის წინააღმდეგ აუცილებლად ითამაშებს. ჩვენ მშვიდად ვართ და ოპტიმისტური განწყობა გვაქვს. თუმცა ვერაფრის გარანტიას ვერ ვიძლევით“ — თქვა „სკუადრა აძურას“ ექიმმა ენრიკა კასტელაციმ.

„იუვენტუსის“ მცველი 7 დღე ფიზიოთერაპიის კურსს ჩაიტარებს და დაისვენებს, რის მერეც კიდევ ერთხელ გააშუქებენ. ბუნებრივია, იტალიელთა ერთ-ერთ ლიდერს შემცვლელი სჭირდება და, როგორც ამბობენ, ამჟამად, მარჩელო ლიპის ასეთად კრისტიან ძაკარდო წარმოუდგენია. შანსი გაუჩნდა მასიმო ოდოსაც.

„იმედია, ბოლომდე მზად ვიქნები. ყოველ შემთხვევაში, სრული დატვირთვით ვვარჯიშობდი და განწყობაც ამბიციური მაქვს. უკვე ორი წელია, ნაკრების გარშემო ვტრიალებ და ეს თვითდაჯერებას მძენს. არც ის ფაქტი მაშინებს, რომ ჩემს კონკურენტად ოდო მოიაზრება. მასიმო ჩინებული ფეხბურთელია. რაც მთავარია, ყველას გვინდა, ძამბროტა მალე მომჯობინდეს. იგი „სკუადრა აძურასთვის“ ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშეა“ — აღნიშნა „პალერმოს“ 24 წლის მცველმა კრისტიან ძაკარდომ.

გიორგი ბაბაბაძე

აბდულა გადამხდელია

საუდის არაბეთის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატი... დაწყებამდე მოიგო. საქმე ის გახლავთ, რომ ამ მშვენიერი ქვეყნის ხელმწიფემ, აბდულამ, გადაწყვიტა, თანამემამულე ფეხბურთელებს მუნდიალზე მარტო მონაწილეობისთვის 12 (!) მილიონი დოლარი გადაუხადოს...

არაბთა მწვრთნელი ახლა ბრაზილიელი მარკოს პაკეტაა, თავად ნაკრებმა კი მსოფლიოს ჩემპიონატის H ჯგუფში ესპანეთთან, უკრაინასთან და ტუნისთან უნდა იომოს. ცხადზე ცხადია, არაბები 9 ივლისს ფინალში მარტო სიზმარში თუ გავლენ, მაგრამ პაკეტას ბიჭებმა უკვე გაინაღდეს გვარიანი თანხა და სხვა რაღა უნდათ. შეგახსენებთ, რომ მუნდიალის მოგებისთვის (და არა ტურნირზე მონაწილეობისთვის) ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ თავის ნაკრებს „ოდენ“ 540 ათასი ევრო აღუთქვა, ხოლო ფრანგები საერთოდ გაძუნწდნენ და ეროვნულ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონობის შემთხვევაში რაღაც „მათხოვრულ“ 240 ათას ევროს აძლევენ... გულუხვმა აბდულამ მარტო გერმანულ სტადიონებზე ფეხის დაკარებისთვის 12 მილიონი დოლარი გაიმეტა. მეფეც ასეთი უნდა.

ლადო ხომერიკი

სარბიელი: კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		იტალია. სერია B						
		3 ივნისი						
22:45	382	აველინო-ალბინოლეფე(ნ)	2.20	2.70	3.40	1.21	1.33	1.50
		ესპანეთი. II დივიზიონი						
		3 ივნისი						
22:00	5	სიუდადი-მურსია	1.45	3.50	6.70	1.02	1.19	2.29
20:30	7	სპორტინგი-ფეროლი	1.40	3.70	7.00	1.01	1.16	2.42
20:30	11	ტენერიფე-ელჩე	1.90	2.90	4.00	1.14	1.28	1.68
20:30	13	სერესი-ტარაგონა	2.90	2.80	2.35	1.42	1.29	1.27
		4 ივნისი						
21:00	3	ალმერია-რეალი(ბ)	1.90	2.90	4.00	1.14	1.28	1.68
22:00	4	კასტელონი-მალაგა ბ	1.35	3.80	8.50	1.00	1.16	2.62
21:00	6	ეიბარი-ლევანტე	7.00	3.70	1.40	2.42	1.16	1.01
20:00	8	ჰერკულესი-ალბასეტე	1.75	3.20	4.20	1.13	1.23	1.81
22:00	9	ლორკა-ლეიდა	1.45	3.70	6.00	1.04	1.16	2.28
14:00	10	ნუმანსია-უელვა	2.90	2.80	2.35	1.42	1.29	1.27
20:00	12	ვალიადოლიდი-ეხიდო	2.25	2.50	3.60	1.18	1.38	1.47
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		5 ივნისი						
20:00	37	ჰამარი-მოლდე	1.90	3.40	3.65	1.21	1.24	1.76
20:00	38	ლინი-ვიკინგი	2.10	3.30	3.20	1.28	1.26	1.62
20:00	39	ოდ ვერლანდერენ-ბოდო	1.95	3.40	3.40	1.23	1.23	1.70
20:00	40	სანდეფიორდი-სტარტი	2.45	3.30	2.65	1.40	1.27	1.46
20:00	41	ტრომსიო-ლილესტრიომი	3.10	3.30	2.15	1.59	1.26	1.30
22:00	42	რუსენბორგი-ბრანი	2.15	3.30	3.10	1.30	1.26	1.59
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		4 ივნისი						
21:00	45	ალესუნდი-სტრომგოდსეტი	1.95	3.40	3.50	1.23	1.25	1.72
		5 ივნისი						
20:00	46	ჰაუგესუნდი-კონგსვინგერი	2.05	3.40	2.90	1.27	1.20	1.56
20:00	47	ლოვ ჰამი-ჰიოდი	1.65	3.60	4.30	1.13	1.19	1.95
20:00	48	მოსი-ფოლო	1.45	4.20	5.50	1.07	1.14	2.38
20:00	49	ჰრს ვერლანდერენ-ვლმტი	3.10	3.50	1.95	1.64	1.19	1.25
20:00	50	სოგნდალი-მანგლერუდი	1.35	4.30	8.00	1.02	1.15	2.79
20:00	51	სპარტა ს-ჰიონეფოსი	2.40	3.40	2.50	1.40	1.22	1.44
20:00	52	ტრომსდალენი-ბრინი	2.85	3.50	2.10	1.57	1.20	1.31
		ირლანდია						
		2 ივნისი						
22:45	79	დროგედა-ბოჰემიანი	1.75	3.20	4.30	1.13	1.24	1.83
22:45	80	დუბლინი სიტი-კორკი	4.20	3.20	1.75	1.81	1.23	1.13
22:45	81	უოტერფორდი-სტ.პატრიკსი	3.30	3.20	2.00	1.62	1.24	1.23
23:00	82	შელბურნი-ბრეი	1.35	4.00	8.00	1.00	1.15	2.66
23:00	83	დუბლინი-დერი	4.00	3.20	1.80	1.77	1.24	1.15
		3 ივნისი						
22:45	84	სლიგო-ლონგფორდი	2.20	3.00	3.00	1.26	1.26	1.50
		ამხანაგური მატჩები						
		2 ივნისი						
21:00	141	გერმანია-კოლუმბია	1.55	3.50	6.00	1.07	1.23	2.21
22:00	142	ანგოლა-თურქეთი(ნ)	4.00	3.20	1.85	1.77	1.26	1.17
22:00	143	შვედეთი-ჩილე	1.60	3.40	5.40	1.08	1.23	2.08
21:30	150	ლიხტენშტაინი-ტოგო	7.00	4.20	1.35	2.62	1.13	1.02
		3 ივნისი						
17:00	144	ინგლისი-იამაიკა	1.15	5.50	14.00	1.00	1.06	3.94
19:30	145	ჩეხეთი-ტრინიდადი	1.20	5.40	10.00	1.00	1.07	3.50
19:30	146	ხორვატია-პოლონეთი(ნ)	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
19:30	147	შვეიცარია-ჩინეთი	1.32	4.20	9.00	1.00	1.15	2.86
22:00	148	ლუქსემბურგი-პორტუგალია	25.00	10.00	1.02	7.14	1.00	1.00
23:45	149	ესპანეთი-ეგვიპტე	1.40	3.80	8.00	1.02	1.19	2.57
		4 ივნისი						
18:00	151	კოტ დიუარი-სლოვენია(ნ)	1.85	3.20	4.00	1.17	1.26	1.77
20:00	152	ბრაზილია-ახალი ზელანდია(ნ)	1.04	8.00	24.00	1.00	1.00	6.00
21:00	153	იაპონია-მალტა(ნ)	1.15	5.50	15.00	1.00	1.06	4.02

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10141	გერმანია-კოლუმბია	1.80	2.20	5.40	1.00	1.35	1.56
10142	ანგოლა-თურქეთი(ნ)	4.50	2.00	2.20	1.38	1.47	1.04
10143	შვედეთი-ჩილე	1.90	2.20	5.50	1.01	1.41	1.57
10145	ჩეხეთი-ტრინიდადი	1.50	2.50	8.00	1.00	1.26	1.90
10146	ხორვატია-პოლონეთი(ნ)	2.65	2.00	3.30	1.13	1.46	1.24
10147	შვეიცარია-ჩინეთი	1.65	2.40	7.00	1.00	1.33	1.78
10149	ესპანეთი-ეგვიპტე	1.70	2.40	6.00	1.00	1.32	1.71
10150	ლიხტენშტაინი-ტოგო	6.00	2.50	1.60	1.76	1.26	1.00
10151	კოტ დიუარი-სლოვენია(ნ)	2.35	1.90	4.40	1.05	1.53	1.32
10153	იაპონია-მალტა(ნ)	1.40	2.90	8.50	1.00	1.20	2.16

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11141	გერმანია-კოლუმბია	2.10	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11142	ანგოლა-თურქეთი(ნ)	6.50	10.00	20.00	7.50	4.40	3.60	20.00	10.00	2.60
11143	შვედეთი-ჩილე	2.30	10.00	20.00	3.50	4.50	7.50	20.00	10.00	7.00
11144	ინგლისი-იამაიკა	1.25	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11145	ჩეხეთი-ტრინიდადი	1.35	15.00	30.00	3.50	5.00	14.00	20.00	12.00	12.00
11146	ხორვატია-პოლონეთი(ნ)	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.50	20.00	10.00	5.00
11147	შვეიცარია-ჩინეთი	1.65	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11149	ესპანეთი-ეგვიპტე	1.75	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11150	ლიხტენშტაინი-ტოგო	12.00	12.00	20.00	12.00	5.00	3.50	25.00	12.00	1.70
11151	კოტ დიუარი-სლოვენია(ნ)	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00

			1	2
		ჩოგბურთი		
		კაცები		
		Roland Garros		
		2 ივნისი		
13:00	383	დავიდენკო-მოია	1.40	2.45
13:00	384	გაუდიო-ფერერო	1.60	2.05
13:00	385	ბერდიხი-კიფერი	1.30	2.90
13:00	386	ფედერერი-მასუ	1.02	8.00
13:00	394	ანჩიჩი-მონტანესი	1.25	3.30
13:00	395	რობრედო-დლოუგი	1.04	5.50
13:00	396	ნალბანდიანი-ტურსუნოვი	1.10	5.00

			1	2
		ჩოგბურთი.ქალები.Roland Garros		
		2 ივნისი		
13:00	387	მორესმო-იანკოვიჩი	1.04	6.50
13:00	388	ვაიდისოვა-რაზაი	1.10	5.00
13:00	389	სკიავონი-პენეტა	1.40	2.40
13:00	390	დ საფინა-სრებოტნიკი	1.15	4.00
13:00	391	შარაპოვა-მოლიკი	1.02	7.00
13:00	392	კუზნეცოვა-ნ ლი	1.15	4.00
13:00	397	პ შნაიდერი-ვაკულენკო	1.20	3.40
13:00	398	ვ უილიამსი-სპრემი	1.11	5.00
13:00	399	მისკინა-ივანოვიჩი	1.80	1.80

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)			
12141	გერმანია-კოლუმბია	1.90	1.70
12142	ანგოლა-თურქეთი(ნ)	1.90	1.70
12143	შვედეთი-ჩილე	1.90	1.70
12145	ჩეხეთი-ტრინიდადი	2.00	1.60
12146	ხორვატია-პოლონეთი(ნ)	1.90	1.70
12147	შვეიცარია-ჩინეთი	2.00	1.60
12149	ესპანეთი-ეგვიპტე	1.90	1.70
12150	ლიხტენშტაინი-ტოგო	2.00	1.60
12151	კოტ დიუარი-სლოვენია(ნ)	1.70	1.90
12153	იაპონია-მალტა(ნ)	2.10	1.50

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)			
13141	გერმანია-კოლუმბია	1.70	1.90
13142	ანგოლა-თურქეთი(ნ)	1.85	1.70
13143	შვედეთი-ჩილე	1.85	1.70
13145	ჩეხეთი-ტრინიდადი	1.90	1.70
13146	ხორვატია-პოლონეთი(ნ)	1.70	1.90
13147	შვეიცარია-ჩინეთი	1.95	1.60
13149	ესპანეთი-ეგვიპტე	1.90	1.70
13151	კოტ დიუარი-სლოვენია(ნ)	1.70	1.90
13153	იაპონია-მალტა(ნ)	2.00	1.50

რომელი გუნდი გახსნის მატჩში აჩეარიოს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანსი ერთგულად ითვლება)			
14141	გერმანია-კოლუმბია	1.20	2.60
14142	ანგოლა-თურქეთი(ნ)	2.30	1.55
14143	შვედეთი-ჩილე	1.30	2.50
14145	ჩეხეთი-ტრინიდადი	1.05	2.90
14146	ხორვატია-პოლონეთი(ნ)	1.80	2.00
14147	შვეიცარია-ჩინეთი	1.16	2.50
14149	ესპანეთი-ეგვიპტე	1.18	2.60
14151	კოტ დიუარი-სლოვენია(ნ)	1.60	2.30

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი		I-ში	თანაბრად	II-ში
15141	გერმანია-კოლუმბია	3.00	2.80	2.00
15142	ანგოლა-თურქეთი(ნ)	3.00	2.80	2.00
15143	შვედეთი-ჩილე	3.00	2.80	2.00
15145	ჩეხეთი-ტრინიდადი	3.00	2.80	2.00
15146	ხორვატია-პოლონეთი(ნ)	3.00	2.80	2.00
15147	შვეიცარია-ჩინეთი	3.00	2.80	2.00
15149	ესპანეთი-ეგვიპტე	3.00	2.80	2.00
15150	ლიხტენშტაინი-ტოგო	3.00	2.80	2.00
15151	კოტ დიუარი-სლოვენია(ნ)	3.00	2.80	2.00

ფრეს ბარეშე (ძირ დრო)			
16141	გერმანია-კოლუმბია	1.17	3.80
16142	ანგოლა-თურქეთი(ნ)	2.60	1.35
16143	შვედეთი-ჩილე	1.20	3.50
16145	ჩეხეთი-ტრინიდადი	1.03	5.50
16146	ხორვატია-პოლონეთი(ნ)	1.45	2.00
16147	შვეიცარია-ჩინეთი	1.09	5.00
16149	ესპანეთი-ეგვიპტე	1.12	4.00
16151	კოტ დიუარი-სლოვენია(ნ)	1.35	2.50

გოლი:ფჭვილი-10თუ კენტი-2. (0:0 ითვლება ფჭვილად)			
17141	გერმანია-კოლუმბია	1.85	1.95
17142	ანგოლა-თურქეთი(ნ)	1.85	1.95
17143	შვედეთი-ჩილე	1.85	1.95
17145	ჩეხეთი-ტრინიდადი	1.85	1.95
17146	ხორვატია-პოლონეთი(ნ)	1.85	1.95
17147	შვეიცარია-ჩინეთი	1.85	1.95
17149	ესპანეთი-ეგვიპტე	1.85	1.95
17150	ლიხტენშტაინი-ტოგო	1.85	1.95
17151	კოტ დიუარი-სლოვენია(ნ)	1.85	1.95
17153	იაპონია-მალტა(ნ)	1.85	1.95

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრინის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	ცისფერყანწელთა ქუჩა №4	
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 21	
ოზურგეთი	იოანე პეტრინის ქუჩა №3	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	თამარ მეფის №1	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №17-29	

ჯერ კლუბი, მერე საქართველო

გორდონ ჰერბერტს ნბა-ს ევროპა ურჩევნია

გურამ დოლიძეგვილის ფოტო

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს სექტემბერში უსერიოზულესი მატჩები ელის. ჩვენებს, შარშანდლის მსგავსად, ევროჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოუწევთ ჭიდილი. მიზანი ძველი და უკვე ბანალურია — A დივიზიონში ანაცვლება, საიდანაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასასვლელად შეიძლება ბრძოლა. შარშან ეს ქართველებმა, მოგეხსენებათ, ვერ მოახერხეს — დრაჟენ ბრაიკოვიჩის ცუდად დაწყებული საქმე გორდონ ჰერბერტმა ვერ გამოასწორა და ახლა ამ უკანასკნელს მორიგი შანსი ეძლევა. ჰერბერტს საქართველოს ნაკრებში ჯერ არ ელიან, რაკი მომქანცველი სეზონის შემდეგ ლეგიონერებს დასვენება მართებთ, თან თავად კანადელ მწვრთნელსაც საკუთარი საქმეები აქვს მოსაგვარებელი. გუშინ ჰერბერტს რომ შევეხმიანეთ, ძირითადად მის საკლუბო მომავალზე ვისაუბრეთ...

— გადაწყვეტილია, რომ პარიზის „რასინგიდან“ წამოხვედით?

— ამ კლუბის საბოლოოდ დავშორდი.

— რა მიზეზით?

— არ მინდა კლუბის შინაურ საქმეებზე ღიად ლაპარაკი. მიზეზი მოუწესრიგებელი საორგანიზაციო საკითხები და ფინანსური პრობლემები იყო.

— ახლა რას აკეთებთ, ახალ კლუბში ხომ არ მოეწყვეთ?

— ჯერ არა, მაგრამ სწორედ მაგ საქმით ვარ დაკავებული. ჯერჯერობით არ მომინახავს ის კლუბი, სადაც კარიერას გავაგრძელებ.

— კონტრაქტი არ გაგიფორმებიათ, მაგრამ ვარიანტები უთუოდ გექნებათ...

— მაქვს, რა თქმა უნდა, მაგრამ ჯერ ზუსტად არ ვიცი, სად მოვეწყობი. ეს ალბათ, ორ კვირაში გაირკვევა.

— გავიგეთ, რუსული „უნიკსი“ და ფრანგული „ვილერბანი“ არიან თქვენით დაინტერესებულნი...

— მართალია. ამ კლუბებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს, მაგრამ წინასწარ რამის თქმა არც მინდა და ამ ეტაპზე არცაა კორექტული. ამის გარდა, „სიეტლ სუპერსონიკსში“ მთავარი მწვრთნელის ასისტენტის ვარიანტი მაქვს, თუმც ოკეანისგაღმა წასვლაზე ნაკლებად ვფიქრობ. მინდა, ევროპის ძლიერ გუნდში ვიმუშავო.

— საქართველოს ნაკრებში როდის შეუდგებით მუშაობას?

— როგორც ხედავთ, ჯერ პირადი საქმეებით ვარ დაკავებული, თანაც სეზონი ჯერაც არ დამთავრებულა და საქართველოს ნაკრების ზოგიერთი მოთამაშე საკუთარ გუნდშია დაკავებული. ჩემი ახალი კლუბის ვინაობა რომ გაირკვევა, ცოტას დავისვენებ და ასე, ივლისში საქართველოშიც ჩამოვალ. ამასთან დაკავშირებით თქვენი კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ყველაფერი შეთანხმებული მაქვს.

— ჯერაც გაურკვეველია, დარჩება თუ არა შემონდ უილიამსი ნაკრებში...

— არ ვიცი, შემონდთან არ მილაპარაკია. ის ვიცი, რომ მოლაპარაკება უნდა გაიმართოს და ამ მოთამაშის ბედი საბოლოოდ გაირკვეს.

— თუ ისე მოხდა, რომ უილიამსმა ნაკრები დატოვა, რას აპირებთ?

— ალბათ, სხვა ამერიკელს გავუკეთებთ ნატურალიზაციას, მაგრამ ასეც რომ არ მოხდეს, არა მგონია, ეს ტრაგედია იყოს ჩვენი ნაკრებისთვის.

ირაკლი პერტაია

გურამ დოლიძეგვილის ფოტო

გემახსოვრებათ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი პეკინის ოლიმპიური პროგრამიდან ბეისბოლის ამოღებას აპირებდა, თუმცა საბოლოოდ გადაწყდა, რომ ჩინეთის დედაქალაქში ბეისბოლისტებიც მოიქნევენ კეტს და ამიტომ ქართველი ბეისბოლისტებიც აქტიურად შეუდგნენ ოლიმპიური ციკლისთვის მზადებას. საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაციის პრეზიდენტმა რამაზ გოგლიძემ ჩვენი ნაკრების შანსები რეალურად შეაფასა და აღნიშნა, ოლიმპიადაზე მოხვედრა უფრო ფანტასტიკის სფერადანაა, თუმცა ცდა ბედის მონახევრეაო. ბატონ რამაზს ოლიმპიადის გარდა, სხვა საკითხებზეც ვესაუბრეთ

გამოცდებზე კეტით ხელში

— როდის და სად ჩატარდება ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის პირველი ეტაპი?

— 24-30 ივლისს მოსკოვში. მიუხედავად ჩვენს ქვეყნებს შორის გართულებული ურთიერთობისა, წასვლა მაინც გადავწყვიტეთ, მით უმეტეს, რომ რუსეთის საელჩომ ძალიან კარგად მიგვიღო და საერთოდაც, ვთვლი, რომ ისევ სპორტი თუ დაგვაახლოვებს ჩვენს მეზობლებთან.

— როგორი ფორმატით ტარდება შესარჩევი ციკლი?

— საკმაოდ ჩახლართული სისტემაა. საბოლოოდ ევროპიდან ორი გუნდი უნდა გაემგზავროს პეკინში. რუსეთში პირველი ეტაპი ჩატარდება. ტურნირში რვა გუნდი მიიღებს მონაწილეობა, ჩვენს ქვეჯგუფში მასპინძლები, პოლონელები და ავსტრიელები მოხვდნენ. ტურნირის გამარჯვებული შემდეგ ეტაპზე გადის.

— მზადების პროცესში ნაკრებს რაიმე პრობლემები თუ შეექმნა?

— ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი, გაგიკვირდებათ და, ერთიანი ეროვნული გამოცდებია, რომლებიც ტურნირის დწყებამდე სამი დღით ადრე მთავრდება. ბავშვები ნორმალურ დასვენებას ვერ ასწრებენ. არადა, რა უფლება გვაქვს, ვინმეს ვუთხრათ, უმაღლესში არ ჩაბარონ. მეორე ფაქტორი ის არის, რომ ჩვენი ნაკრები 16-17 წლის ბიჭებითაა დაკომპლექტებული და მათ ზრდასრულ სპორტსმენებთან გაჯიბრება გაუჭირდებათ, თუმცა დიდ გამოცდილებას მიიღებენ და 7-8 წელიწადში კარგ სპორტსმენებად ჩამოყალიბდებიან.

— სოფტბოლისა და ბეისბოლის გუნდებს ვინ წვრთნის და უახლოეს მომავალში თუ გაქვთ კიდევ რაიმე გეგმები?

— 10-11 წლის ასაკის გოგონები ზაფხულში გერმანიაში გაემგზავრებიან ტურნირზე. მათ გია ქემოკლიძე გაჰყვებათ, 13-14 წლის ბიჭებს კი საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ნუგზარ კაპანაძე ამავე პერიოდში პოლონეთში წაიყვანს ევროპის ჩემპიონატზე.

— ცოტა ხნის წინ გლდანში ბეისბოლის მოედანი ააშენეთ, კიდევ ხომ არ აპირებთ ამ მხრივ სამუშაოების გაგრძელებას?

— რა თქმა უნდა. თბილისში დიდი ბაზის აშენება გვინდა. მთავარია, თბილისის მმართველობა დაგვეხმაროს. უბრალოდ, საკმარისია, ტერიტორია მოგვცენ და დანარჩენი ჩვენზე იყოს. ვფიქრობ, ერთობ კარგი საქმე გაკეთდება. ბავშვებს ძალიან მოსწონთ ბეისბოლზე სიარული. საკმარისია, ერთხელ ისროლონ ბურთი და თამაშს თავს აღარ ანებებენ, მით უმეტეს, რომ ჩვენთან ყველა სექცია უფასოა.

პროექტები გვაქვს გორში და ქუთაისში, თუმცა ამ ეტაპზე ყველაზე დიდ გეგმებს კახეთს ვუკავშირებთ. სოფელ ლელიანში ხუთი ჰექტარი მიწა შევიძინეთ და რამდენიმე სტადიონის აშენებას ვაპირებთ. სხვათა შორის, ამ სოფელში საბჭოთა კავშირის ნაკრების სამი წევრი ცხოვრობს. ერთ-ერთი კობა ყაველაშვილი, სსრკ-ს გუნდში პირველ პიჩერად ითვლებოდა.

მთავარია, გვერდით დაგვიდგნენ ისე, როგორც მაგალითად, ბანკი „რესპუბლიკა“ აკეთებს და დანარჩენი ჩვენზე იყოს.

ლადო ფულუკიძე

2006 NBA Playoffs

მეფე ჰრინსმა იხსნა

31 მაისი

აღმოსავლეთის ფინალი

დეტროიტი 2:3 მაიამი

დეტროიტი 91:78 მაიამი

დეტროიტი: ბილაფსი (17 ქულა, 10 პასი), ჰამილტონი (16 ქულა, 10 მოხსნა), პრინსი (29), რ. ვოლესი (7), ბ. ვოლესი (8); მაკდაიესი (12), ჰანტერი (2), ევნსი

მაიამი: უილიამსი (6), ვეიდი (23), უოლკერი (10), ჰასლემი (10 ქულა, 10 მოხსნა), ონილი (19); პოუზი (5) მურნინგი (5) ჰეიტონი

აღმოსავლეთის ორგზის ჩემპიონმა „დეტროიტმა“ საკმაოდ დამაჯერებლად მოუგო „მაიამის“, სერიაში ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა და სულ ცოტა, კიდევ ერთ თამაშამდე გაიგრძელა პლეი ოფში თამაშის უფლება. 2:3 ანგარიშიდანაც საბოლოო გამარჯვება უფრო ახლო ჩანს, ვიდრე 1:3-დან.

„დეტროიტის“ გამოცდილი კაპიტანი ჩონსი ბილაფსი მაინც ნათელ ფერებში ხედავს მომავალს, ის ხომ ლიდერია და თამაშში პასების დარიგებასა და ქულების ხვეჭასთან ერთად თანაგუნდელთა გამხნევებაც ევალება. ბილაფსი ამბობს — მეექვსე მატჩს მაიამელები მასპინძლობენ და ახლა მათ ინერვიულონ, შინაურ თამაშს მოიგებენ თუ ვერაო.

ბილაფსის სიტყვებს ეხმაურება „მაიამის“ ბომბარდირი დუეინ ვეიდი — „ჩვენ ვლელავთ? ნურას უკაცრავად! ამ გუნდმა ორჯერ ზედიზედ მოიპოვა ფინალში თამაშის უფლება, შარშან კი ეს ჩვენი დამარცხებით შეძლო და ჩვენ რომ მათი შიში და კომპლექსი გვქონოდა, პირველი ოთხი თამაშიდან სამს როგორ მოვუგებდით?“ მოკლედ, ბრძოლა მოედანს გარეთაც მიდის, ფსიქოლოგიური, რა თქმა უნდა.

ისევ ბილაფსი — „დღეს ჩვენ მოედანზე გავედით და აგრესიულად ვითამაშეთ. მე „პისტონზის“ კალათბურთზე გელაპარაკებით და ვგონებ, ყველამ იცით, ეს რას ნიშნავს.“

აქ კი ეთანხმებიან ბილაფსს მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან. „მაიამის“ თავკაცი პატ რაილი: „ამ გუნდმა დაცვა სადღაც სხვა სიბრტყეში აიყვანა. საკუთარ ნახევარზე ამაზე დალაგებულად და ინტენსიურად თამაში პირადად ჩემთვის წარმოუდგენელია.“

თამაში თავიდან ბოლომდე ისეთი ჩახუთული იყო, როგორც გუშინდელი თბილისური ამინდი. ქულათა გროვება ორივე გუნდს უჭირდა, უფრო კი „მაიამი“, რომლის მთავარი ზარბაზანი — ვეიდი იშვიათად ქუხდა, ვინ იცის, პირი დეტროიტული მიწით ჰქონდა ამოვსებული. სამაგიეროდ, ქულები გაუიაფდა „დეტროიტის“ კაფანდარა ფორვარდ ტაიშონ პრინსს, ვისაც არცთუ ხანგრძლივი კარიერის მიუხედავად, პლეი ოფში ჭიპი აქვს მოჭრილი, მაგრამ აქამდე 24 ქულაზე მეტის ჩაგდება ვერ მოეხერხებინა. პრინსმა პირად რეკორდს მესამე მეოთხედში უწია, მეოთხეში კი უფრო მეტად რომ ჩაიხუთა თამაში, მონაგარი კიდევ 5 ქულით გაიმდიდრა.

„დეტროიტი“ პირველი მეოთხედის ერთ ეპიზოდში 11 ქულით დაწინაურდა, მაგრამ ამაზე წინ „მაიამმ“ აღარ გაუშვა. სტუმრები გაქეშებით იბრძოდნენ, ეს შეხვედრა რომ მოეგოთ, კლუბს არსებობაში პირველად გაიყვანდნენ დიდ ფინალში, მაგრამ დეტროიტული დაცვა მტკიცედ იდგა. მესამე მეოთხედის ერთ ეპიზოდში „მაიამმ“ ანგარიში 51:51 გაათანაბრა და იქნებ წინაც გასულიყო, თუმც აქ იყოჩაღა პრინსმა, მეტოქეებს ბურთი აწაპნა და ჩაუტენა. შემდეგ კი უკვე ბენ ვოლესმა წამოახტუნა სკამებიდან 22 ათასი დეტროიტელი მაყურებელი, როცა 10 სანტიმეტრით მაღალსა და 40 კილოგრამით მძიმე შაკილ ონილის ჩატენვა არ აცალა და ჰაერში შემხტარს ისე სასტიკად დაუფარა, შაკი იატაკზე დაეცა. „ბიგ ბენი“ ნამატჩევს ამბობდა — ამ ეპიზოდმა ისე დაგვმუხტა, შეუძლებელი იყო, ეს თამაში არ მოგვეგო.

მესამე მეოთხედის დარჩენილი დრო „დეტროიტმა“ თავისი ლიდერობის განმტკიცებას მოახმარა და ბოლო შესვენებაზე 73:65 უპირატესობით გავიდა. „მაიამმ“ ვერც ბოლო მეოთხედში უპოვა ბზარი დამხვდურთა ციხე-სიმაგრეს, ამ 12-წუთეულში მხოლოდ 13 ქულა თუ გაიკეთა და შინ სერიის მეექვსე მატჩში მოთავების იმედით გაფრინდა.

კოტე ყორჩია

გლდანი – პეკინი

მოკრივეთა მატარებელში ზოგი ადის, ზოგი ჩადის

ქართულ კრივში ბოლო ნახევარ წელიწადში ამბები მოხდა, რამდენიმე წელს ეყოფოდა. იანვარში ფედერაციამ ნაკრების მთავარი მწვრთნელი თენგიზ მესხაძე დაითხოვა და მის ნაცვლად დავით ცერცვაძე დანიშნა. დაპირისპირებების ნაკლებობა არც მანამდე იგრძნობოდა, თუმც ამ ცვლილების შემდეგ წვრილ-წვრილი უსიამოვნებები ერთიორად გახშირდა და კრივის სამყარო ორ ნაწილად გაიყო. განხეთქილება ნაკრების ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელ ციკლზეც აისახა. ახლახან, სულაც ფედერაციის ხელმძღვანელობა შეიცვალა. გიორგი კანდელაკისგან პრეზიდენტობა კახეთის გუბერნატორმა პეტრე ცისკარიშვილმა გადაიბარა. თითქოს ყველაფერი ჩაწყნარდა, მაგრამ ახალი პრობლემა გამოჩნდა — ნაკრების ოთხი წამყვანი მოკრივე კარიერის უცხოეთში გაგრძელებაზე ალაპარაკდა. ამასობაში კი ცერცვაძის შეგირდები წინასაევროპოდ გლდანში არიან შეკრებილნი და რუმინული საერთაშორისო ტურნირისთვის ემზადებიან. ნაკრების საევროპო პერსპექტივასა და ზოგადად აქტიურ საკრივო საკითხებზე სასაუბროდ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტსა და ნაკრების მეორე მწვრთნელს ვოვა ახალკაცს შევეხმიანეთ

ბადრი ჯეიფარაძის ფოტო

— კვირაზე მეტია გლდანში, დუნდუას კრივის დარბაზში ვემზადებით. აქვეა სასტუმროც. მოკლედ, ყველანაირი პირობა გვაქვს შექმნილი, მარტო ვარჯიშზე რომ ვიფიქროთ.

— გაფართოებული შემადგენლობით შეიკრიბეთ?

— 25-მდე მოკრივე ვარჯიშობს. ნაკრების პირველი-მეორე ნომრები და პერსპექტიული ახალგაზრდები. ფაქტობრივად, ევროშემადგენლობის ყველა კანდიდატი აქაა.

— ჯერ არ გადაგიწყვეტიათ, ვინ წავა ევროპაზე?

— ევროპირველობა 13 ივლისს დაიწყება. იქამდე ბევრი დროა. მონახაზი უკვე არსებობს, თუმც საბოლოო შემადგენლობის დასახელებას არ ვჩქარობთ. ამ ეტაპზე უფრო აქტუალური რუმინული საერთაშორისო ტურნირისთვის სამზადისია.

— როდის ტარდება ეს შეჯიბრი?

— 6-10 ივნისს. ძალიან სერიოზული შეჯიბრია და ბევრი მას მინი-ევროპასაც ეძახის. ოფიციალურად კი „ოქროს ქამარი“ ჰქვია.

— ევროშემადგენლობას რუმინული შედეგებით დაასახელებთ?

— ბუქარესტში ათი მოკრივე მიგვყავს. ესენი საევროპო გუნდის მთავარი კანდიდატები არიან, მაგრამ ვერ ვიტყვი, ადგილები განაღდებული აქვთ-მეთქი. ტურნირის შედეგებს, ცხადია, ყურადღება მიექცევა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას ბოლო შეკრებებზე მივიღებთ.

— ისევ გლდანში შეიკრიბებით?

— ევროპამდე ბოლო ათ დღეს, სავარაუდოდ, ამავე დარბაზში გავატარებთ. იქამდე კი აზერბაიჯანში ვგეგმავთ ერთობლივ შეკრებას იქაურ ნაკრებთან. ფედერაციის ახალი პრეზიდენტის პეტრე ცისკარიშვილის ეს ინიციატივა ქართულ კრივს ძალიან წაადგება. აზერბაიჯანის ნაკრები ხომ ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. ერთობლივ შეკრებას გაფართოებული შემადგენლობით გავივლით და სწორედ მისი დასრულების შემდეგ დავასახელებთ საუკეთესოებს.

— ევროპის ჩემპიონატზე საქართველო სრული გუნდით გამოვა?

— ჯერ ვერ გეტყვით. ალბათ, ათკაციანი შემადგენლობა გვეყოლება, თუმც თუ ნიკოლოზ იზორიამ 54 კილოგრამიდან 51-ში ჩამოინაცვლა, ეგებ თერთმეტი მოკრივე წავიყვანოთ.

— ნაკრების სამი წევრი — ჟვანია, ლობჟანიძე და ღვამიჩავა — პროფესიონალებში გადადიან. ეს ევროპის ჩემპიონატამდე მოხდება თუ მის შემდეგ?

— ძალიან დიდი სურვილი აქვთ ევროპაზე გამოვიდნენ და ამის შემდეგ დატოვონ საქართველო, მაგრამ არავინ იცის, რა როგორ იქნება. გააჩნია უცხოეთიდან პასუხს როდის მიიღებენ.

— რეალურად ამ სამეულის სახით ნაკრებს დიდი ძალა აკლდება?

— ძალიან პერსპექტიული ბიჭები არიან. ყველაზე მეტად გულდასაწყვეტი კი ჟვანიას დაკარგვაა. შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე მან ისე კარგად იჩხუბა და ისეთი ხალხი დაამარცხა, ამ ევროპაზე მინიმუმ ვერცხლის მედალი უნდა აეღო.

— დარჩენილები თუ შეძლებენ მედლებისთვის ბრძოლას?

— რა თქმა უნდა, შანსი სხვებსაც აქვთ, მაგრამ უფრო დაიმედებულები ვიქნებოდით, ამ ახალგაზრდებს. მეტი საერთაშორისო გამოცდილება რომ ჰქონდეთ. კარგი თაობა მოდის და მათ ხელის შეწყობა სჭირდებათ, თუ გვინდა, პეკინის ოლიმპიადისთვის ძლიერი გუნდი გვყავდეს. ახალი ხელმძღვანელობა საამისოდ არაფერს იშურებს. თუნდაც აზერბაიჯანის ნაკრებთან დაგეგმილი ერთობლივი შეკრება რად ღირს.

— პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიების გათამაშება როდის დაიწყება?

— 2007 წლიდან, მაგრამ რა პრინციპით, ამაზე ვერაფერს გეტყვით. 23 ივნისს მოსკოვში ევროპის კრივის ასოციაციის კონგრესი გაიმართება, რომელზეც პრეზიდენტს აირჩევენ და კალენდარს შეადგენენ. ალბათ, ლიცენზიების საკითხიც იქვე გადაწყდება.

ოთარ გალლაკელიძე

საქართველო ოქროს ქამარზე

48 კგ
ზვიად ხიდური
54 კგ
ნიკოლოზ იზორია
57 კგ
ჯობა ფხაკაძე
60 კგ
კონსტანტინე კუპატაძე
ვასილ ყაზიშვილი
64 კგ
ჯობა ქარქაშაძე
69 კგ
ვამეხ ტერაშვილი
75 კგ
რევაზ ქარელიშვილი
81 კგ
დავით წიკლაური
+91 კგ
იუზა გულორდავა



კენენისა ბეკელე

ოქროს ლიგის ოქროს რიგი

ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში დღეს იწყება წლის ყველაზე მასშტაბური და ფულუხვი მძლეოსნური ესტაფეტა „ოქროს ლიგა“. როგორც ყოველთვის, ლიგა ახლაც ექვსი ეტაპისგან, ან ექვსი თითქმის დამოუკიდებელი ტურნირისგან შედგება, ხოლო დიდი „ექვსეულის“ მოლევის შემდეგ გამორჩეული მძლეოსნები 9-10 სექტემბერს შტუტგარტში, ეგრედ წოდებულ, „მსოფლიო ფინალში“ დახურავენ ოქროს ლიგას.

ლიგის საპრიზო ფონდი კვლავაც უცვლელია, მსოფლიოს უსწრაფესი და უძლიერესი მორბენლები, მხტომელები და მსროლელები ძველებურად 1 მილიონი დოლარისთვის ეცდებიან, რაც შეიძლება, კარგად აკეთონ ის საქმე, რაშიც მთელ მსოფლიოში მხოლოდ ერთმანეთს ვერ აჯობებენ. ეგაა, ოდნავ შეიცვალა ამ მილიონის გადანაწილების პრინციპი. ძველი წესკანონით, მილიონს ის სპორტსმენები იყოფდნენ, რომლებიც ექვსვე ეტაპს მოიგებდნენ — ცხადია, თავიანთ სახეობას. წლეულს მილიონიდან წილი 3 ეტაპის მომგებებსაც ერგებათ და ამგვარად: 500 ათასს გაიყოფენ 5 ეტაპის მომგებნი, ხოლო მეორე 500 ათასს 6-ვე ეტაპზე გამარჯვებულები. ამგვარად, ყველა ქალაქში გამარჯვებულები გვარიანი წონის ოქროს ზოდებს წაიღებენ შინ და მხოლოდ ერთხელ დამარცხებულებიც არ დარჩებიან მთლად მშრალზე. ადრე თუ მილიონს 2-5 უგამორჩეულესი სპორტსმენი ინაწილებდა, წლეულს ოქროს რიგში იქნებ 10 ან მეტიც კი მოხვდეს.

ოქროს ლიგაში გამოსვლის დასტური უკვე ბრძანა 2005 წლის მსოფლიოს უძლიერესმა სპორტსმენმა, ეთიოპიელმა სტაიერმა კენენისა ბეკელემ, ვინაც 5 000 მეტრზე ყველგან ყველაფერს იგებს, თან რეკორდიც მისია — წლეულს არც ოლიმპიადაა და არც მსოფლიოს ჩემპიონატი და რატომ უნდა მოვარიდო თავი მილიონი დოლარისთვის ბრძოლასო.

კოტე ყორშია

ოქროს ლიგის ეტაპები

2 ივნისი ———— ოსლო
8 ივლისი ———— პარიზი
14 ივლისი ———— რომი
18 აგვისტო ———— ციურიხი
25 აგვისტო ———— ბრიუსელი
3 სექტემბერი ———— ბერლინი

ბადრი ჯეიფარაძის ფოტო

მატერიალური გადაწყვეტილება

ევროპის ჩემპიონატის პრიზიორმა კონსტანტინე კუპატაძემ საქართველოდან წასვლა გადაიფიქრა. ორიოდე კვირის წინ მას კატეგორიულად ჰქონდა გადაწყვეტილი კარიერის სხვა ქვეყანაში გაგრძელება. დაინტერესებულ ქვეყნებსაც ღიად ასახელებდა და მიზეზიც გაამხილა — მატერიალური მხარე, თუმც გადაწყვეტილება კრივის ფედერაციის ახალ პრეზიდენტ პეტრე ცისკარიშვილთან შეხვედრის შემდეგ შეცვალა.

„საქართველოდან წასვლა და სხვა დროშის ქვეშ ჩხუბი ჩემთვის ძალიან ძნელი იქნებოდა. ამაზე ბევრი ვიფიქრე, მაგრამ რეალობიდან გამომდინარე, მაინც მომიხდა მძიმე გადაწყვეტილების მიღება. ამ დღეებში კი ბატონ პეტრე ცისკარიშვილთან საუბრისას აზრი შემეცვალა, დავრწმუნდი, როგორ ცდილობს ქართული კრივის წინსვლას. ცხადია, პირობების გაუმჯობესებასაც დამპირდა და უკვე ნაკრებთან ერთად ვვარჯიშობ. ევროპის ჩემპიონატისთვის ვემზადები“ — გვითხრა გუშინ კუპატაძემ.

მაოიზმიდან დემოკრატიულ ფრონტამდე

გია თორთლაძე პოლიტიკას ვერც მთაში გაექცა და ვერც ბარში

გია ფოლადაშვილის ფოტო

თბილისელი მთამსვლელის გია თორთლაძის გუშინდელი პრესკონფერენცია კაფე „მსოფლიო სპორტში" ისეთივე იყო, როგორიც მისი ლაშქრობა დედამიწის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალ მანასლუზე. ერთსაც და მეორესაც რაღაც პოლიტიკური ელფერი დაჰყვებოდა.

ჯერ იყო და, ნეპალში ჩასვლისთანავე ამ სამეფოში ატეხილი პოლიტიკური ქარტეხილების გამო მთამსვლელები უმალ სამხედროთა გარემოცვაში მოხვდნენ და მათივე შეირაღებული ესკორტით შვეულმფრენებით მწვერვალის მისადგომებთან გადაიფრინეს, ბოლოს კი იქიდან დაბრუნებულ ალპინისტებს ხეობაში მაოისტური პარტიის წარმომადგენლები ყაჩაღებივით დახვდნენ, რომლებიც იქ თანხის „შეუწერავად" არც მთამსვლელებს აჭაჭანებდნენ, არც ტურისტებს. თუმცა, როგორც თორთლაძემ გვითხრა, ჩვენმა მთამსვლელმა იმდენი უჩიჩინა იმ მაოისტებს, რომ ლამის აქეთ გადაახდევინა „ხარკი".

ბოლოს, ჩამოვიდა კაცი თბილისში, „მსოფლიო სპორტში" საპრესკონფერენციოდ მოვიდა და ახლა იქ აღმოჩნდა თანამოაზრე პოლიტიკოსთა გარემოცვაში — აქეთ ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი და იქით კიდევ კობა დავითაშვილიო, ზვიად ძიძიგური, დავით ზურაბიშვილი, ლევან ბერძენიშვილი და მთელი. მათი გუნდი. კიდევ სამი გუნდი იყო: ერთი მთამსვლელებისა, მეორე ჟურნალისტებისა და მესამე თავად გია თორთლაძის ახლობელ-მეგობრებისა. ჰოდა, იყო ლამის ორი თვით ჰიმალაის მთებში გადაკარგული მთამსვლელის ერთი ხვევნა-კოცნა და მოკითხვა, რამაც პრესკონფერენცია ლამის ყველას გადაავიწყა. ბოლოს ისევ თორთლაძეს გაახსენდა და იყო ჟურნალისტთა ალპინისტური კითხვებიც და პოლიტიკურიც...

ისე, კაცმა რომ თქვას, მთასა და პოლიტიკას შორის გადებულ კაცთან პრესკონფერენციაზე რომ მიხვალ, აბა სხვა რაზე უნდა ისაუბრო, მაგრამ გია თორთლაძეს სპორტსა და პოლიტიკაზე დაგეშილმა ჟურნალისტებმა ჩვენი კითხვებით აქეთ-იქით იმდენი ვატრიალებინეთ თავი, როგორც გახურებული ჩოგბურთის მაცქერალ გულშემატკივარს. ამიტომაც, რიგიანი ინტერვიუ მგონი აღარავის გამოუვიდა.

ბოლოს თორთლაძე, როგორც იქნა, კულისებში ერთი-ორი წუთით დავიმარტოხელეთ და...

გია თორთლაძისთვის მანასლუ მეექვსე რვაათასიანი აღმოჩნდა. მანამდე მან გადმოიხედა შიშა პანგმადან, ჩო ოიუდან, დჰაულაგირიდან, ევერესტიდან და ლჰოცზედან.

ახლა მანასლუზე მეექვსე ექსპედიციაში წავიდა. მანამდე ყველა ცდა, რომელიც წლის სხვადასხვა დროს ჰქონდა, წარუმატებლად დამთავრდა და თავს იმშვიდებდა, რომ იმ ცდებისას ვერც სხვა ექსპედიციებმა მიაღწიეს მიზანს და რამდენიმე კაცი დაიღუპა კიდეც. ახლაც, მწვერვალთან სულ ახლოს ასულმა, ორჯერ უამინდობის გამო პირი იბრუნა, მესამე ცდაზე კი უკვე მშვენიერ ამინდში ავიდა.

გია თორთლაძე ათკაციანი საერთაშორისო ექსპედიციის წევრი იყო, რომელსაც ბასკი ინიაკი ოჩოია მეთაურობდა. თორთლაძე სწორედ მისი მიწვევით მოხვდა ამ ექსპედიციაში, რომელიც ესპანეთის, რუმინეთის, გერმანიის, რუსეთისა და ყაზახეთის მთამსვლელებით იყო დაკომპლექტებული. იქვე იყო ერთი ნეპალელი შერპიც. ამ გუნდიდან მწვერვალს შვიდმა კაცმა მიაღწია მაშინ, როცა დანარჩენი ხუთი ექსპედიციის წევრთაგან თითო-ოროლა თუ ავიდა.

ისიც აღსანიშნავია, რომ წლევანდელი წელი მანასლუს ბიოგრაფიაში საიუბილეო იყო. ცენტრალურ ჰიმალაიზე აღმართული ეს ბუმბერაზი, პირველად 50 წლის წინათ დალაშქრეს იაპონელებმა.

სხვათა შორის, სწორედ იაპონელები იყვნენ პირველნი, ვინც ამ მწვერვალის დალაშქვრა პრაქტიკულად სცადეს. მათ გარდა მანასლუზე პირველი ასვლა სხვებს არც უცდიათ, იაპონელებმა კი მიზანს მეხუთე ექსპედიციით მიაღწიეს. ამის გამო მანასლუს იაპონელთა მთასაც უწოდებენ.

და რაკი წლევანდელი წელი იაპონელთა მთისთვის საიუბილეო იყო, მასზე ასვლას ახლა უჩვეულოდ ბევრი, საერთო ჯამში 44 მთამსვლელი ცდილობდა. წინა ექსპედიციებისგან განსხვავებით, ლაშქრობისას ახლა არავინ დაღუპულა, თუმცა რამდენიმემ ხელ-ფეხი ძლიერ მოიყინა და მოსაკვეთი გაუხდა.

ავთანდილ გურასაშვილი

საჭადრაკო ოლიმპიადა 2006

20 მაისი — 4 ივნისი. ტურინი. იტალია

X ტური

კაცები

საქართველო 3:1 თურქეთი

ბაადურ ჯობავა	1:0	მიხეილ გურევიჩი
ლევან ფანცულაია	1:0	სუატ ატალიკი
გიორგი ყაჭეიშვილი	1:0	უმუტ ატაკისი
დავით არუთინიანი	0:1	ბარიშ ესენი

სომხეთი 2,5:1,5 ჩინეთი
საფრანგეთი 2:2 აშშ
უკრაინა 1:3 რუსეთი
ჩეხეთი 1,5:2,5 სლოვენია

ქალები

უკრაინა 2:1 საქართველო

ნატალია ჟუკოვა	0,5:0,5	ნინო ხურციძე
ინა იანოვსკა-გაპონენკო	1:0	ნანა ძაგნიძე
ანა უშენინა	0,5:0,5	ლელა ჯავახიშვილი

რუსეთი 2:1 ბულგარეთი
სომხეთი 1:2 ჩინეთი
საფრანგეთი 1,5:1,5 აშშ
ხორვატია 1,5:1,5 რუმინეთი

უკრაინამ საქართველო მეოთხეზე გააჩერა

ჩინელებთან საშინელი მარცხის შემდეგ ჩვენმა ვაჟებმა თურქებს მოუგეს 3:1 და სატურნირო მდგომარეობა შედარებით გამოასწორეს. ქართველებმა მთელი ათი საფეხურით წაიწიეს წინ და მედლების მოპოვების შანსი კვლავაც გაუჩნდათ. ჩვენებიდან იმარჯვეს ბაადურ ჯობავამ, ლევან ფანცულაიამ და გიორგი ყაჭეიშვილმა.

პირველ დაფაზე მოთამაშე ჯობავა თეთრი ფიგურებით მიხეილ გურევიჩს დაეჭიდა. ქართველმა დიდოსტატმა ლაზიერის გამბიტით დაიწყო შეხვედრა, თავიდანვე მძიმე ძალები გამოიყენა და მტრის დალაშქვრას შეუდგა. პარტია ორმხრივ იერიშებში გაგრძელდა, თუმც ჯობავამ უფრო ჭკვიანური მანევრები აკეთა და გურევიჩი 74-ე სვლაზე დააჩოქა.

ოლიმპიადას კვლავაც სომხები ლიდერობენ და მდევარ ჩინელებს ორი ქულით უსწრებენ.

პირველი დამარცხება იწვნიეს ქართველმა გოგონებმა და ოქროს მედლის მოპოვების შანსი შეიმცირეს. ჩვენმა მანდილოსნებმა ლიდერ უკრაინასთან დათმეს შეხვედრა 1:2 და ახლა მათ შორის სხვაობა სამ ქულამდე გაიზარდა. დღეს ვაჟები რუმინელებს დაუპირისპირდებიან, გოგონები კი — რუსებს.

სატურნირო მდგომარეობა ათი ტურის შემდეგ

კაცები		ქალები	
1. სომხეთი	29 ქულა	1. უკრაინა	23
2. ჩინეთი	27	2. რუსეთი	22,5
3. რუსეთი	26,5	3. ჩინეთი	20,5
4. ჩეხეთი	26,5	4. საქართველო	20
5. საფრანგეთი	26	5. ბულგარეთი	19,5
9. საქართველო	24,5		

ბევრი ილუმჟინოვი და მდიდარი კოკი

დღეს ტურინში ფიდეს საპრეზიდენტო არჩევნებია.

კანდიდატი ორია — ამჟამინდელი თავკაცი რუსი კირსან ილუმჟინოვი და ჰოლანდიელი მილიონერი ბესელ კოკი. არჩევნებში სულ 155 ქვეყნის ჭადრაკის ფედერაცია მიიღებს მონაწილეობას და როგორც ვარაუდობენ, უმრავლესობა ილუმჟინოვს დაუჭერს მხარს.

კირსან ილუმჟინოვი და ბესელ კოკი

სერიოზული მხარდამჭერები ჰყავს კოკსაც, მას მდიდარი ჭადრაკის ფედერაციები უმაგრებენ ზურგს და გამარჯვების იმედს სულაც არ კარგავს. ჰოლანდიელის პრეზიდენტობა ძირითადად აშშ-ს და ევროპულ ქვეყნებს სურთ.

ილუმჟინოვის კანდიდატურა რუსეთის ჭადრაკის ფედერაციამ წარადგინა. თავიდან ვარაუდობდნენ, რომ რუსები ამ თანამდებობაზე მსოფლიოს მე-12 ჩემპიონ ანატოლი კარპოვს დაასახელებდნენ, მაგრამ შემდეგ დიდოსტატმა უარი განაცხადა და მისი კანდიდატურაც მოიხსნა. ილუმჟინოვი უკვე 11 წელია, რაც ფიდეს პრეზიდენტია და მისი თაოსნობით ამ სპორტში სოლიდური თანხაც ჩაიდო, თუმცა გახლეჩილი საჭადრაკო სამყარო მაინც ვერ შეარიგა.

ლაშა გეგეჭკორი



ანამ პირველი დაკარგა

ნორჩი ქართველი ჩოგბურთელი ანა ტატიშვილი ბოლო რამდენიმე კვირაა, აზიაში იმყოფება და იქაურ, ITF-ის (ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია) ეგიდით გამართულ ტურნირებში იღებს მონაწილეობას.

რამდენიმე წარუმატებელი ასპარეზობის შემდეგ ანამ იაპონიის ქალაქ გუნმის ხალიჩაზე მიმდინარე 25 ათასიან ტურნირზე გაილაღა და ზედიზედ ორ მასპინძელს მოუღო ბოლო. პირველ წრეში ქართველმა 6:0, 6:2 კაორუ მაეზავა გაანადგურა, ხოლო მეორე ეტაპზე ასევე ორ სეტში 6:3, 7:6 აჯობა ტურნირის პირველ ნომერს, WTA-ს კლასიფიკაციის 215-ე საფეხურზე მყოფ ერიკა ტაკაოს.

მესამე წრეში ტატიშვილის მეტოქე ბერძნული წარმოშობის ავსტრალიელი კრისტინა ჰორაატოპულოსი იქნება, რომელიც რეიტინგში ანაზე დაბლა, 474-ე პოზიციაზეა. აღსანიშნავია, რომ პირველ ორ წრეში ჰორიატოპულოსმაც იაპონელები დაამარცხა — მიკი მიამურა (6:3, 6:1) და მეხუთე ნომრად განთესილი აიამი ტაკასე (6:1, 2:6, 7:6).

თუ ანა ტატიშვილმა უკვე მესამე წრეს უწია, ჩეხეთის საკურორტო ქალაქ კარლოვი ვარში მიმდინარე ITF-ის ვაჟთა 10-ათასიანი ტურნირის მეორე წრე გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა ჩვენი ვაჟთა გუნდის მეორე ნომრის, ლადო ჩიხლაძისთვის. კარლოვი ვარის თიხაზე მე-8 ნომრად განთესილმა ლადომ პირველი შეხვედრა ტაი-ბრეიკებზე 7:6, 7:6 კი მოუგო კორტის მასპინძელ მიხაილ კონეჩნის, მაგრამ მერე ვეღარაფერი გააწყო შვედ ოსკარ პალინთან და 3:6, 6:7 წააგო.

პარალელურად, გერმანულ ქალაქ ეტლინგენში კაცთა 25-ათასიანი ჩელენჯერი მიმდინარეობს და იქაურ თიხაზე წარმატებით აიღო სტარტი ჩვენმა პირველმა ნომერმა, ბოლო ხანს საშინლად მოთამაშე ირაკლი ლაბაძემ — ქართველმა 7:5, 6:3 სძლია ესპანელ სანტიაგო ვენტურას. მეორე წრეში ირაკლის მეტოქე მასპინძელი ანდრეას ბეკი იქნება, რომელმაც მანამდე მეოთხე ნომრად განთესილი ჰოლანდიელ რიკ დე ვოსტს აჯობა.

ROLAND GARROS
როლან გაროსი 2006. პარიზი. თიხნარი. საპრიზო 8 137 652 $

მორესმო ფრანგებისთვის ქალიცაა დაჯსეც

1 ივნისი

კაცები

მეორე წრე

დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) — **ტიმ ჰენმანი** (ბრიტანეთი) 6:3 6:2 4:6 6:4; **მარტინ ვასალო არგუელო** (არგენტინა) — **სებასტიან გროჟანი** (21, საფრანგეთი) 1:6 6:4 4:6 7:5 6:2; **ტომი რობრედო** (7, ესპანეთი) — **ილია ბოზოლიაჩი** (სერბეთი) 7:5 6:2 3:6 6:1; **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) — **მარკოს ბაღდატისი** (19, კვიპროსი) 3:6 6:4 6:3 6:7 6:4; **რადეკ შტეპანეკი** (11, ჩეხეთი) — **დავიდე სანგინეტი** (იტალია) 6:3 6:3 6:1; **ლეიტონ ჰიუიტი** (14, ავსტრალია) — **მატიო მონტკორტი** (საფრანგეთი) 7:5 6:3 6:3; **დომინიკ ჰრბატი** (22, სლოვაკეთი) — **ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) 4:6 6:4 6:7 7:5 6:2; **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) — **დავიდ კინდლმანი** (გერმანია) 6:3 6:3 6:3; **ოლივიე როხუსი** (27, ბელგია) — **ირჟი ვანეკი** (ჩეხეთი) 6:2 6:0 6:2; **პოლ-ანრი მატიო** (29, საფრანგეთი) — **ფლორენ სერა** (საფრანგეთი) 6:0 7:6 7:6; **გაელ მონფილზი** (25, საფრანგეთი) — **დიკ ნორმანი** (ბელგია) 4:6 6:3 6:7 6:0 7:5; **ივან ლიუბიჩიჩი** (4, ხორვატია) — **ოსკარ ერნანდესი** (ესპანეთი) 6:3 6:7 6:1 6:2; **ტომი ჰაასი** (23, გერმანია) — **ალექსანდერ ვასკე** (გერმანია) 6:4 7:5 6:7 6:4; **რუბენ რამირეს-იდალგო** (ესპანეთი) — **კრისტოფერ როხუსი** (ბელგია) 5:2 *(უარი)*; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერბეთი) — **ფერნანდო გონსალესი** (9, ჩილე) 6:4 6:1 3:6 4:6 6:1; **დავიდ ფერერი** (15, ესპანეთი) — **ჟერემი ჩარდი** (საფრანგეთი) 6:1 6:4 *(გადაიდო)*; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — **ხუან მონაკო** (არგენტინა) 6:4 4:6 2:2 *(გადაიდო)*; **ნიკოლას ალმაგრო** (ესპანეთი) — **ჯეიმს ბლეიკი** (8, აშშ) 7:6 *(გადაიდო)*

ქალები

მეორე წრე

ჟუსტინ ენენ-არდენი (5, ბელგია) — **ანასტასია იაკიმოვა** (ბელორუსია) 6:2 7:5; **ანა ივანოვიჩი** (19, სერბეთი) — **ემილი ლუა** (საფრანგეთი) 6:1 6:1; **ანასტასია მისკინა** (10, რუსეთი) — **მელინდა ჟინკი** (უნგრეთი) 6:2 6:4; **გიზელა დულკო** (32, არგენტინა) — **იულიანა ფედაკი** (უკრაინა) 6:2 6:4; **შენეი პერი** (აშშ) — **აკიკო მორიგამი** (იაპონია) 6:3 6:0; **შაჰარ პირი** (31, ისრაელი) — **ცვეტანა პირონკოვა** (ბულგარეთი) 6:2 6:3; **დანიელა ჰანტუხოვა** (15, სლოვაკეთი) — **ემანუელა გალიარდი** (შვეიცარია) 3:6 6:2 6:3; **მარია კირილენკო** (რუსეთი) — **მატილდა იოჰანსონი** (საფრანგეთი) 6:0 6:1; **ნატალი დეში** (21, საფრანგეთი) — **კატალინა კასტანო** (კოლუმბია) 6:4 2:6 6:3; **ტატიანა გარბინი** (იტალია) — **ალიზ კორნეტი** (საფრანგეთი) 6:2 6:4; **ანა-ლენა გრონეფელდი** (13, გერმანია) — **ჯამეა ჯექსონი** (აშშ) 6:7 6:2 *(გადაიდო)*; **ელენა დემენტიევა** (6, რუსეთი) — **ვიკტორია კუტუზოვა** (უკრაინა) 1:5 *(გადაიდო)*

ორი დღეა, ღრუბლებმა გადაფარეს პარიზის ზეცა და ჩოგბურთელებს საკმაო ზიანი მიაყენა — ზოგს რამდენჯერმე უწევს კორტზე გასვლა და გახურება, ზოგისთვის კი მატჩები ორ დღეზე გაიჭიმა.

მიმოხილვა კი ქალთა ჩაუქობით დავიწყოთ. პირველი პრობლემები წარმატებულად დაძლია პირველმა ჩოგანმა — ამელი მორესმომ. ვერა დუშევინამ მეორე სეტში მხარბეჭიან ფრანგს საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა გაუწია და პარტიის მოგებასთანაც ახლოს იყო, მაგრამ მორესმოს სამი სეტის თამაშის სურვილი არ აღმოაჩნდა, საჭირო მომენტში მოუმატა და 6:1 7:6 მოიგო კიდეც.

„ისე კარგად ვერ ვითამაშე, როგორც მინდოდა და საჭიროა, თუმც გამარჯვება მაინც გასახარია. იმედი მაქვს, შემდეგში მოვუმატებ“ — არ ენაწყლიანობდა მორესმო.

დუშევინას „გმირობები“ გუშინ ანასტასია იაკიმოვამ გაიმეორა. ბელარუსს თავისუფლად შეეძლო ჟუსტინ ენენ-არდენისთვის სეტის ართმევა, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა.

ასეთ მატჩებში კარგად ჩანს ხოლმე, თუ რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან მაღალი კლასისა და საშუალო დონის ჩოგბურთელები. იაკიმოვას მეორე სეტში 5:4 მიჰყავდა და თავის მოწოდებაზე 40:0-ს იგებდა, მაგრამ ბელარუსს სწორედ აქ აუკანკალდა ხელ-ფეხი — ჯერ უნებლიე, შემდეგ ორმაგი შეცდომები დაუშვა. მერე ფეხიც გაუსრიალდა და გეიმშიც ანგარიში გათანაბრდა. ამასობაში კი დროებით ჩათვლემილმა ბელგიელმა გამოიღვიძა კიდეც, გონზეც მოვიდა და დაკარგული ტონუსის აღდგენაც მოასწრო.

ენენი თუ გაცხარდა, მისი გამკავებელი დღესდღეობით თითოორორლა თუ იქნება, ჰოდა, აბა, იაკიმოვა რაღას გახდებოდა. ჭინკა ბელგიელმა კი საქმე მალევე მიიყვანა ლოგიკურ დასასრულამდე.

„აშკარად უნდა მოვუმატო. დღეს საკმაოზე მეტი შეცდომა დავუშვი, რაც აღარ უნდა განმეორდეს. სათამაშო პირობები არცთუ სახარბიელო იყო, მაგრამ ამით თავს ვერ გავიმართლებ“ — ეს განაცხადა ნამატჩევს ენენმა, რომელსაც გუშინ 24 წელი შეუსრულდა. ეს ტრიბუნებზე მყოფ გულშემატკივრებსაც კარგად სცოდნიათ და ბელგიელს ცნობილი „HAPPY BIRTHDAY“ უმღერეს.

კიდევ გამოსაყოფია სერბი თინეიჯერი ანა ივანოვიჩიც, რომელიც მეტოქეთაგან ქვას ქვაზე არ ტოვებს. ბალკანელმა ამჯერად მასპინძელი ემილი ლუა გაანადგურა.

კაცების ტურნირში კი ყველაზე საინტერესო წინა დღიდან გადმოტანილი ორი შეხვედრა გამოდგა.

მასპინძლებს თვალსა და ხელს შუა ელევათ თანამემამულის ტრიუმფის ხილვის შანსი. ფრანგებს აგერ უკვე ორი ფავორიტი მიუჩოვნეს — ახალგაზრდა რიშარ გასკეს გუშინ გამოცდილი სებასტიან გროჟანიც მიაყოლეს.



AFP პარი ზიდან

ფრანგები ამელი მორესმოს დაყვირებას ფინალში ელიან

ჯერ წვიმის გამო გაწელილ, შემდეგ კი შემოღამების გამო გუშინწინდან გადმოტანილ შეხვედრაში გროჟანმა კორიანტელი დააყენა. კვალიფიკაციიდან მოხვედრილ მარტინ ვასალო არგუელოსთვის კი ეს მართლაც დიდი წარმატებაა.

გროჟანმა წინა დღიდან სეტებში 2:1 უპირატესობა კი გადმოიტანა, მაგრამ 87 უნებლიე შეცდომის გამკეთებელ ჩოგბურთელს აბა, რა გამარჯვების იმედი უნდა ჰქონოდა.

მეორე გადმოტანილ შეხვედრაში კი დმიტრი ტურსუნოვმა იხეირა. ეს რუსი ბოლო ერთი წელიწადია, ცხად კოშმარად ექცა ტიმ ჰენმანს — შარშან უიმბლდონიდან დაიფრინა, ახლა კი პარიზიდანაც „გააძევა“.

ჰენმანს შეუძლია, ყველაფერი თავის თავს დააბრალოს — მეოთხე სეტში ტურსუნოვის მოწოდებაზე ბრიტანელმა ზედიზედ 8 ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა. ეს გარდამტეხი მომენტი გამოდგა, რადგანაც მალე სლავმა გააკეთა ის, რაც ბრიტანელმა ვერ მოახერხა — აიღო მეტოქის მოწოდება და ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა.

აღარ ხუმრობს ლეიტონ ჰიუიტი — ბევრს ეგონა, რომ ავსტრალიელი საწყის შეხვედრაშივე წააგებდა, მაგრამ ოზმა აგერ მეორე წრის ბარიერი გადალახა. თან როგორ, მიწასთან გაასწორა კიდევ ერთი მასპინძელი, მატიო მონტკორტი.

„ტერფი ჯერაც მტკივა, ამიტომ 100 პროცენტით ვერ ვთამაშობ. თუმც ნელ-ნელა ვუმატებ. იმედია, პროგრესს კიდევ გავაგრძელებ“ — თქვა ჰიუიტმა.

ივო კარლოვიჩი მხოლოდ ყუმბარისებური მოწოდების იმედიც შორს რომ ვერ გავიდოდა, ადრეც გვითქვამს. ბოლოს და ბოლოს ეს გრუნტია და აქ ერთფეროვან ხორვატს ბევრი არაფრის იმედი არ უნდა ჰქონოდა. ეს ჰიპოთეზა პრაქტიკაში დომინიკ ჰრბატიმ გადაიტანა, თუმც ამისთვის ხუთი სეტის თამაში კი მოუხდა.

კარლოვიჩი 31-მა ეისმაც ვერ იხსნა. აი, ჰრბატიმ კი მეორე ხუთსეტიანი მატჩი ჩაატარა და ასე თუ გააგრძელა, კორტზე სირბილის კი არა, სიარულის თავი აღარ ექნება.



AFP პარი ზიდან

თუ იქამდე მივა, ლეიტონ ჰიუიტს მეოთხე წრეში რაფაელ ნადალი ელის

კახა ლომაშვილი

AFP რუსეთიდან

ქალთა სახეები გერმანია 2006-ზე

ამხანაგური მატჩები

AFP ოსლოდან

ნორვეგიელ რამბეკს კორეელი ჩო შემოენარცხა

ნორვეგია 0:0 სამხრეთ კორეა

სამხრეთ კორეა: ვ. ლი (იონგ-კვანგ კიმი 38), ჩოი (იონგ-დაე კიმი 79), ს. კიმი, ჯ. კიმი, ი. ლი, სონგი (დონგ-ჯინ კიმი 46), ბაეკი, დო-ჰეონ კიმი, ანი (ჩო 46), ჩუნგი, სეოლი

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

ჰოლანდია 2:1 მექსიკა

0:1 ბორხეტი (19), 1:1 ჰეიტინგა (52), 2:1 ბაბელი (57)

ჰოლანდია: ტიმერი (შტეკელენბურგი 46), ჰეიტინგა, ბულარუზი, კრომკამპი, დე კლერი, ლანძაატი, მადურო, სნეიდერი ბაბელი, კუიტი, ვან პერსი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 46)

მწვრთნელი: მარკო ვან ბასტენი

მექსიკა: სანჩესი, კასტრო (არელანო 65), მარკეზი, ოსორიო, პინედა (სუარესი 65), სალკიდო, პარდო (ტორადო 46), ბორხეტი, ბრავო (რ. გარსია 46), ფონსეკა (რ. მორალესი 46), ფრანკო (ნაელსონი 46)

მწვრთნელი: რიკარდო ლავოლპე

სინგაპური 0:0 მალაიზია

ესტონეთი 1:1 ახალი ზელანდია



AFP ეინდჰოვენიდან

რიკარდო ლავოლპემ მექსიკელებს კი შეუძახა, მაგრამ...

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (U-21)

ნახევარფინალი ზიგენიოთვეკი

საფრანგეთი 2:3დ.დ.(2:2) ჰოლანდია

უკრაინა 0:0(პენ.5:4) სერბეთი

AFP ავეირუდან

ბასტა! უკრაინელი ოლექსანდრ რომანჩუკი (№2) ფინალშია, სერბი დუშან ბასტა კი ვერა

AFP ბრაგადან

ისე როგორ იქნება და, ერთმა გაიხარა, მეორე დამწუხრდა: ჰოლანდიელი ნიკი ჰოფსი და ფრანგი გრეგორი ბურილონი

ფინეთი

ვეიკაუსლიგა
VIII ტური

ჰაკა 1:1 ლაჰტი
მარიეჰამნი 0:1 ინტერი
კუოპიო 2:2 ჰონკა
მიუპა 2:0 იარო
ტურკუ 7:0 კტპ
ვაასა 2:2 ჰიკ

ბელგია

II კლასი. გადასასვლელი პლეი ოფი. IV ტური

ლიერსი 2:1 ლომელი
ვიგორი 2:1 გეელი

იტალია

სერია A/B. გადასასვლელი პლეი ოფი. I მატჩები

ჩეზენა 1:1 ტორინო
ვოდენა 0:0 მანტოვა

უკედეთი

სუპერეტა. VIII ტური

ატვიდაბერგი 1:2 ვასბი
დეგერფორსი 1:2 იორეგრუ
ფალკენბერგი 2:1 ლიუნგსკილე
ლანდსკრონა 0:1 ტრელეგორგი
მიალბი 1:1 ძვიდინგი
სუნდსვალი 0:1 ნორჩიოპინგი
უმეა 2:3 ბრომაპოიკარნა

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხოჭერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. **საფოსტო მისამართი:** თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00